# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 იანვარი 2008 №002 (3226) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



**ამერი იპოდრომზე**

თასის მფლობელი ჯერ თავისიანებით ივსება

2



**ბერნდ შუსტერი:**

ჩემპიონად რეალი გნებავთ? ხვალვე, სენიორ!

8



**79-ე ოლე**

ლეგენდარული ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი დიად რეკორდს უახლოვდება

15

# საქართველოს ნაკრების მეკარემ ზღაპარი დაასრულა

## დავით გვარამაძე ფეხბურთიდან წავიდა

საქართველოს ნაკრებში მხოლოდ 13 ფეხბურთელს აქვს ჩატარებული დავით გვარამაძეზე მეტი მატჩი, მისი მონაგარი კი 28 თამაშია. ეს სტატისტიკური ცნობა იმად გავიხსენეთ, რომ გვარამაძემ მოთამაშის კარიერა დაასრულა... რომ ვთქვათ, ასაკიანიაო, მაინცდამაინც მართალი არ იქნება, რაკი მეკარისთვის 32 წელი ბევრი არ არის, თბილისის „ლოკომოტივშიც“ საიმედოდ თამაშობდა, მაგრამ თავად პერსპექტივა, უფრო სწორად, პერსპექტივის არქონა ახსენა და... „სარბიელთან“ საუბარში დავით გვარამაძემ ზღაპარიც ახსენა, რომელიც ყოველთვის მთავრდება — ისევე, როგორც კარიერა. ახალ, არამეკარეულ კარიერაზე კი დავით გვარამაძე ჯერ ფიქრობს...



# იენამ პრობლემას ერთი ასო შეუცვალა

## გეორგის მერე გიორგის დაელაპარაკებიან



გიორგი ლომაიას იენის „კარლ ცაისში“ მეორედ მისვლის შანსზე აქამდეც გვეწერა, თუმცა ამ შანსს დიდად რეალურს ვერ ვუწოდებდით.

ახლა კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთგერმანელთა მთავარი სამიზნე სწორედ ქართველი მეკარეა.

საქმე ის არის, რომ იენელები ვეტერანი გეორგ კოხის გადაბირებას ცდილობდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და როგორც ჩანს, იმედად ისევ გიორგი ლომაია ჰყავთ.

ამ ამბავს „კიკერზე“ დაყრდნობით გაუწყებთ, თავად მეკარე კი დაზუსტებით ჯერ ვერაფერს ამბობს.





ბადრი კეთილაძის ფოტო

# ყვითლები თოვლში

## გიორგი ჩიხრაძე ვარიანტებს არჩევს

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების უმრავლესობამ მეორე წრისთვის მზადება უკვე დაიწყო. „ამერი“ 3 იანვარს შეიკრიბა დედაქალაქში და აქვე აგრძელებს წვრთნას. „ყვითლები“ რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დატოვა და საინტერესოა, როგორ ემზადებიან და რა სიახლეებია გუნდში. გუშინ „ამერმა“ იპოდრომზე ივარჯიშა და მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს სწორედ იქ, ნავარჯიშევს გავესაუბრეთ...

— რამდენიმე დღეა, შევიკრიბეთ და ამ ეტაპზე მხოლოდ ერთჯერადი ვარჯიშები გვაქვს, თუმც საკმაოდ დატვირთული. ხან იპოდრომზე ვატარებთ წვრთნებს, ხანაც ასკ-ის დარბაზში. 14 იანვრამდე ასე გავაგრძელებთ, მერე კი სხვა გეგმები გვაქვს.

— გეგმებზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრობთ. მანამდე კი ის ვთქვათ, რომ გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა...

— გუნდიდან წავიდნენ გიზო ჯელაძე, რომელიც, სავარაუდოდ, ყაზახეთში გააგრძელებს კარიერას; მიხეილ კობაური სომხეთში აპირებს წასვლას; ვახტანგ ხვადაგიანი და გიორგი ვარდოსანიძეც აღარ არიან ჩვენთან; ახლახან დაგვტოვა ბაჩანა ცხადაძემაც...

— შესაძლებელია, კიდევ წავიდეს ვინმე?

— რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე მიმდინარეობს კლუბებთან მოლაპარაკება და მათი წასვლა-დარჩენის საკითხიც უახლოეს მომავალში გადაწყდება.

— ვინმეს თუ შეიმატებთ გუნდში?

— სხვა კლუბიდან ჯერ არავინ მიგვიღია. „ამერის“ მეორე და მესამე გუნდებიდან გადმოვიყვანეთ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი და გვინდა, მათაც მივცეთ ძირითად გუნდში თამაშის შანსი.

— და ხომ არ არის შესაძლებელი, „ამერში“ ლეგიონერმა ითამაშოს?

— არ გამოვრიცხავ, რომ უცხოელი ფეხბურთელებიც დავიმატოთ.

— ახლა მოსამზადებელ გეგმებზეც გკითხავთ...

— თუ ამინდებმა შეგვიწყო ხელი, ტესტ-მატჩების გამართვას ვაპირებთ 17 და 18 იანვარს — უკვე მოვილაპარაკეთ ერთ-ერთ აზერბაიჯანულ გუნდთან და ბოლნისის „სიონთან“.

— მეორე შეკრებას სად გეგმავთ?

— გვაქვს ორი ვარიანტი: გრიგოლეთი და უცხოეთი, კერძოდ, ანთალია. ჯერ გადაჭრით ვერ გეტყვით, სად წავალთ. 27 იანვარს ვიწყებთ მეორე შეკრებას და 10 თებერვალს დავბრუნდებით თბილისში. ერთ კვირაში კი სათასო შეხვედრაც გვექნება ჭიათურაში „მაღაროელთან“.

**ნუგზარ ლოლაძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# გიორგი ლომაიას შანსი ხორვატიაა

## კარლ ცაისის ქართული ფიქრები

**გიორგი ლომაიას** გერმანულ „კარლ ცაისში“ გადასვლის შანსი გაიზარდა.

საქმე ისაა, რომ იენელებმა გამოცდილი მეკარე გეორგ კოხი ვერ დაიყოლიეს — იგი ზაგრების „დინამოში“ გადავიდა.

„კიკერის“ ცნობით კი, არ არის გამორიცხული, „კარლ ცაისმა“ ქართველი მეკარე დაიბრუნოს, რომელმაც შარშანდელი სეზონის მეორე წრეში 15 მატჩი ითამაშა და მაგრადაც შეეშველა გუნდს მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაშიო.

ლომაიას გარდა, იენელები პორტუგალიური „ბოავიშტას“ ლიხტენშტაინელ პეტერ იელეს კანდიდატურასაც იხილავენ.

თავად გიორგი ამჟამად საქართველოშია და თბილისის „ვიტ ჯორჯიაში“ ვარჯიშობს. გუშინ რომ შევეხმიანეთ, „კარლ ცაისში“ შესაძლო გადასვლაზე ბევრი ვერაფერი გვითხრა, პირადად ჯერ არავინ დამკავშირებიაო.

**ილია ნანოგაშვილი**



2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ჩვენი მეტოქეები

# უთავო სამყურა თავსაც ეძებს და სხვასაც

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე ირლანდია ჯერჯერობით უმწვრთნელოდაა, თუმც იქაური ასოციაციის ხელმძღვანელობა უკვე ზრუნავს სპარინგ-პარტნიორების მოძებნაზე, რათა ახალ მწვრთნელს საქმე შეუმსუბუქოს.

ირლანდიელებმა უკვე მესამე სპარინგ-პარტნიორი შეარჩიეს — ნორვეგიის ნაკრები. ეს მატჩი ოსლოში 20 აგვისტოს გაიმართება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ირლანდიელები 6 თებერვალს ბრაზილიელებს უმასპინძლებენ, ხოლო 24 მაისს — სერბებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იტალიის სამხრეთული ტესტი

**ევროპის** ჩემპიონატის ფინალური ეტაპისა და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის მზადებას საქართველოს ეროვნული გუნდის თანაჯგუფელი რობერტო დონადონის იტალიის ნაკრებიც იწყებს.

იტალიელებმა მეტოქეებად ჯერჯერობით ორი ნაკრები შეიგულეს: პორტუგალია და ესპანეთი.

როგორც ხედავთ, ორივე მეტოქე საკმაოდ ძლიერია, თუმც სამხრეთული სტილის მოთამაშე.

რა ჩანაფიქრი აქვს დონადინის, ამას დრო გვიჩვენებს.

პორტუგალიელებს დონადონის შეგირდები 6 თებერვალს უმასპინძლებენ, ესპანელებს კი 26 მარტს სტუმრად გაეჯიბრებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი

ლიგის
თასი
არსენალი 1:1 ტოტენჰემი

### ესპანეთი

კოპა დელ რეი
ბილბაო 1:1 ესპანიოლი
ხეტაფე 3:0 ლევანტე
ბეტისი 1:2 ვალენსია
უელვა 1:0 ვილიარეალი
სარაგოსა 1:1 რასინგი

### პორტუგალია

ლიგის
თასი
ბეირა მარი 1:1 პენაფიელი

### საბერძნეთი

თასი
აგროტიკოსი 1:1 ოფი
ტრასიბულოსი 3:0 პას
ეთნიკოსი 0:3 არისი
ქსანთი 2:0 აეკ

### თურქეთი

თასი. B ჯგუფი
დემირსფორი 1:0 ტრაბზონი
კირიკალესფორი 0:4 გენჩლერი
C ჯგუფი
სანლიურფასფორი 1:1 კაისერი
D ჯგუფი
სარია 3:2 ბურსა
ოფტასი 3:1 დენიზი

### ამხანაგური მატჩები

აუგსბურგი 1:2 ბაიერნი
გალათასარაი 0:0 ბრიუგე

# დავით გვარამაძე: ჩემი კარიერა კონკიას ზღაპარივით დამთავრდა


გურამ წიბახაშვილის ფოტო

ბევრი მეკარე გვიან აღწევს ფორმის პიკს. არიან ისეთებიც, 18 წლისანი რომ ბრწყინავენ და მერე ზრდას ველარ აგრძელებენ. 32 წლის დავით გვარამაძე მაინცდამაინც არც ერთს განეკუთნება და არც მეორეს. უფრო სწორად, აღარ განეკუთვნება — კარიერა დაასრულა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა გოლკიპერმა გვითხრა, ყველაფერს თავის დრო აქვს, ცოტა ხანი ნაღდად არ ვმდგარვარ კარში, ახლა კი, სჯობს, სხვა საქმეზე გადავერთოო...

**— ბოლო წელიწადნახევარი თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდი და ურიგოდ არ გამოიყურებოდი. რატომ მიიღე ასეთი გადაწყვეტილება?**

— ცალკე ასაკი, ცალკე პერსპექტივის არქონა... საქართველოში ისეთი სურათია, რაღაც ასაკს რომ გადასცილდება ფეხბურთელი, უჯობს, ახალგაზრდებს დაუთმოს გზა. მოკლედ, კონკიას ზღაპარივით დამთავრდა ჩემი კარიერა.

**— ალბათ, ფეხბურთში დარჩები...**

— თითქმის ყველა ფეხბურთელი, რომელიც მოთამაშის კარიერას ასრულებს, ცდილობს, საყვარელ სფეროში დარჩეს. მეც ასე ვარ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად ვიმუშავებ...

*გვარამაძეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 28 მატჩი ჩაუტარებია — პირველად 1998 წელს, მალტის ტურნირზე ჩადგა ეროვნული გუნდის კარში. კარიერის განმავლობაში 8 კლუბი გამოუცვლია და, მათ შორის, პირველი თბილისის „დინამო“ იყო, როცა 16 წლისას ჰქონდა დებიუტი.*

*უცხოური გუნდებიდან „კოშკას“ რიგის „სკონტოში“ (1997-98, 2001) და სამარის „კრილია სოვეტოვში“ (1999-2000) უთამაშია.*

**ილია ნანობაშვილი**

# თოვლის ბაბუა თარხნიშვილი

**მოლდოვის** თითქმის მუდმივი ჩემპიონის, ტირასპოლის „შერიფის“ კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი და მისი ორი თანაგუნდელი საახალწლო არდადეგებზე ტირასპოლის ბავშვთა სახლს ესტუმრნენ.

ისინი თოვლის ბაბუების ფორმაში იყვნენ და პატარებს საჩუქრები დაურიგეს.

„ასეთი შეხვედრები დიდ სიხარულს მანიჭებს. ჩვენზე ძალიან უხარიათ პატარებს, რომლებიც ბედის შემთხვევითობის გამო მოხვდნენ ამ სახლში. „შერიფის“ ბევრ ფეხბურთელს ჰყავს შვილები და ყველამ ვიცით, რას ნიშნავს, როცა ბავშვს სახეზე ღიმილი დასთამაშებს. სხვათა შორის, ამ სახლის ბავშვები „შერიფის“ საშინაო მატჩებს მუდმივად ესწრებიან და ჩვენ მათ თანადგომას ვგრძნობთ“ — თქვა თარხნიშვილმა.

ფეხბურთელებმა პატარებს ნაირნაირი საჩუქრები დაურიგეს — მათ შორის, საფეხბურთო ინვენტარიც.

**ილია ნანობაშვილი**

# ვიტალი დარასელია დაჩიადან არსაით?

**ვიტალი დარასელიამ** შარშანდელი სეზონის მეორე წრე ბოლნისის „სიონში“ გაატარა, ზაფხულში კი მოლდოვურ „დაჩიაში“ გადავიდა, თუმც დიდი შანსია, „დაჩიაც“ დატოვოს.

„გაურკვევლობაში ვარ და არ ვიცი, დავბრუნდები თუ არა მოლდოვაში. „დაჩიასთან“ კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ... წყენა არაფერი, პირიქით, იქ კარგად ვგრძნობდი თავს... არც სხვა ვარიანტი მაქვს“ — გვითხრა დარასელიამ.

ისე, შარშან იყო, დარასელიამ რომ გვითხრა, შესაძლოა, კარიერა დავასრულოო...

**ილია ნანობაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა
გურამ წიბახაშვილის ფოტო

# ალბათ უფრო სკონტო დვალიშვილი გარეთ იყურება

**საქართველოს** ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ პირველი წრის დასრულების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ლადო დვალიშვილიც.

„ოლიმპის“ ყოფილი ფეხბურთელი ჯერაც თბილისშია და ინდივიდუალურად ემზადება, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ლადო კარიერას უცხოეთში გააგრძელებს, რაც თავადაც დაგვიდასტურა...

„თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალბათ, რიგის „სკონტოში“ გადავალ. ვნახოთ, უკრაინული ვარიანტიც მაქვს... ყოველ შემთხვევაში, საქართველოში დარჩენას აღარ ვაპირებ“ — გვითხრა ლადო დვალიშვილმა.

**ნუკრი ლოლაძე**

# დუშან უჰრინი: მეორის ბოლოც პირველის ბოლო ყოფილიყოს!

**თბილისის „დინამოს“ მწვრთნელ დუშან უჰრინთან ეს ინტერვიუ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. შესავალში ნათქვამია, რომ „დინამო თბილისი“ პოსტსაბჭოური საქართველოს 12-გზის ჩემპიონია, თუმცა ბოლო ორ სეზონში წარმატებას ვერ მიაღწია, ახლა კი, პირველი წრის მერე ორი ქულით უსწრებს „ზესტაფონს“. „დინამოს“ დუშან უჰრინი წვრთნის, ვინც ევრო 96-ზე ჩეხეთის ნაკრები ფინალში გაიყვანა, ახლა კი ქართულმა მედიამ უმაღლესი ლიგის პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა...**


გურამ წიბახაშვილის ფოტო

— პირველ რიგში, ძალიან მიხარია, რომ ქართულმა პრესამ „დინამოში“ ჩემი მუშაობა ასეთნაირად შეაფასა. მართლა დიდი იმედი მაქვს, რომ იგივე სეზონის ბოლოსაც განმეორდება.

**— თქვენი მუშაობის ბოლო პერიოდს როგორ შეაფასებთ?**

— ჩვენ კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულადაც ვლიდერობთ ჩემპიონატს. მხოლოდ სამი ქულა გვაქვს დაკარგული „ვიტ ჯორჯიასთან“. გადამწყვეტ მატჩებში კი, „ამერთან“ და „ზესტაფონთან“, მეტოქეებისთვის შანსი არ დაგვიტოვებია. ჩემი გუნდისგან აგრესიულ, შემტევ ფეხბურთს ვითხოვ და მოთამაშეებიც დავალებას ზუსტად ასრულებენ. ამიტომაც ვართ ლიდერები.

**— თუმცა მთელი პირველი წრის განმავლობაში თქვენ არ ლიდერობდით...**

— ასეთი რამ ხდება ხოლმე, მთავარია, თავი არ დაგვიხრია და კონკურენტებიც დავამარცხეთ.

**— რომელ რგოლში სჭირდება „დინამოს“ გაძლიერება?**

— რა თქმა უნდა, გუნდის კიდევ უფრო შევსებაზე გამუდმებით ვფიქრობთ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩვენ უკვე ძალიან კარგად დაბალანსებული შემადგენლობა გვყავს. პირველ წრეში მხოლოდ 4 გოლი გავუშვით და 35 გავიტანეთ, რაც ბურთების საუკეთესო შეფარდებაა უმაღლეს ლიგაში. გოლები კი ფეხბურთში, დამეთანხმებით, მთავარია.

**— ზამთრის შესვენებისას ვინმეს დამატებას აპირებთ?**

— ამის ზუსტად თქმა არ შემიძლია. „ბორჯომში“ გვყავდა განათხოვრებულნი შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ნერგაძე და ისინი დაგვიბრუნდნენ.

**— „ზესტაფონი“ „დინამოს“ მთავარი კონკურენტია?**

— არა მხოლოდ „ზესტაფონი“... „ვიტ ჯორჯია“, „ამერი“, „ოლიმპი“, „ბორჯომი“ — ეს გუნდები ბოლომდე იბრძოლებენ. ჩემპიონატის განახლების მერე იოლი მატჩები არ გველის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კობიაშვილის წითელი და დამტვრეული ავტობუსი

თურქულ ბელეკში მყოფმა „ქართულმა" გუნდებმა ერთმანეთში ტესტ-მატჩი გამართეს — „შალკემ" „ფრაიბურგს" 3:1 სძლია და აღსანიშნავია, რომ ლევან კობიაშვილი 30-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს.

„კობიმ" ძირითადში დაიწყო თამაში, მარცხენა მცველად იყო გამწესებული, წითელი კი ჩვენიანმა ფრაიბურგელ ფორვარდთან უხეშობისთვის მიიღო.

„ფრაიბურგის" შემადგენლობაში კი მეორე ტაიმში ოთარ ხიზანეიშვილი გამოჩნდა. მისი გუნდის გამოცვლის საკითხი ჯერ კიდევ ღიაა.

და კიდევ, მატჩის შემდეგ ინციდენტი მოხდა: უცნობმა ფანებმა „შალკეს" ავტობუსი დაამტვრიეს — რატომ, რისთვის, ეს ჯერჯერობით უცნობია...

**ილია ნანობაშვილი**

# მუმუს მწვრთნელმა ველოსიპედი ურჩია



სამარის „კრილია სოვეტოვი" და დავით მუჯირი საამიროებში არიან და იქ ემზადებიან სააზალსეზონოდ.

რუსი ჟურნალისტები სამარელთა ვარჯიშებს თითქმის არ აცდენენ და „სპორტ-ექსპრესის" ერთ-ერთი მთავარი თემა ქართველი ნახევარმცველია. უფრო სწორად, მუმუს და მის თანაგუნდელთა ენაკვიმატობა.

...როცა ტესტირების დრო დადგა, დავით მუჯირი ველოტრენაჟორს მოაჯდა და თანაგუნდელებიც უმალ გარს შემოეხვივნენ: „ბისტრეი, ბისტრეი!" — ასე ამხნევებდნენ კაპიტანს, როცა ველოტრენაჟორის ტაბლოზე დახედავდნენ.

„დავით, გაიღიმე, სურათს გიღებენ" — ახალი ხუმრობა მოიფიქრეს ფეხბურთელებმა და მუმუს პასუხმაც არ დააყოვნა: „არ შემიძლია, მე ხომ სერიოზული ქართველი ვარ!"

მერე ბიჭები დაიშალნენ და შხაპის მისაღებად გაეშურნენ, მუჯირმაც დაქანცული თანაგუნდელების გამხიარულება გადაწყვიტა და მოულოდნელად ახალი წელი გულიანად მიულოცა ყველას, რასაც დარბაზში დიდი ჟრიამული მოჰყვა.

„შენ საქართველოში ყოფნისას ახალი წლის დადგომის აღნიშვნას, სჯობს, ველოსიპედით მთებზე იარო" — არ დააზანა „კრილიას" ახალმა თავკაცმა ლეონიდ სლუცკიმ, ვისაც მუჯირის დიდი იმედი აქვს და მას გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი უწოდა.

„არაბეთში ყოფნისას გუნდის კაპიტანი მუჯირი იქნება, ვიცეები კი — ბუტი და ბობერი. გუნდს ახლა ვეცნობი და დროებით ასე გადავწყვიტე. სეზონის წინ კი კაპიტანს ოფიციალურად დავნიშნავთ" — განუცხადა სლუცკიმ რუს ჟურნალისტებს.

**ქახა შალამბერიძე**

# რევიშვილის კარიდან მიდიან და მიდიან

## არზიანი რუბინში დაბრუნდა

ყაზანის „რუბინის" ქართველ მეკარე ნუკრი რევიშვილს კონკურენტები შემოაკლდა — სათათრეთის კლუბმა ალექსანდრ კოლინკო და პაველ ხარჩიკი ტრანსფერზე დააყენა.

ამათ გარდა რევიშვილს ერთი მთავარი კონკურენტიღა ჰყავს — სერგეი კოზკო, ვინც ახლახან შეიძინეს „მოსკვადან".

შეგახსენებთ, რომ მძიმე ავარიის შემდეგ ნუკრი ნელ-ნელა იბრუნებს ძველ კონდიციებს და, შესაძლოა, მალე სრული დატვირთვითაც შეძლოს ვარჯიში.

და ერთიც: „რუბინში" დაბრუნდა ახალგაზრდა ქართველი მცველი ზურაბ არზიანი, რომელიც ბოლოს მახაჩყალის „ანჟიში" იყო განათხოვრებული.

არზიანს იჯარა დაუმთავრდა და ახლა ელის, თუ რას გადაწყვეტენ კლუბის ხელმძღვანელები. დიდი შანსია, ის ისევ გაანათხოვრონ.

**ქახა შალამბერიძე**

# ქართველების ჩამოყვანა გამიჭირდება

## ცხადაძეს სტანდარტი ტრამპლინად სჭირდება



**კახა ცხადაძე პირველი ქართველი მწვრთნელია, ვინც აზერბაიჯანში იმუშავებს. ცხადაძე ჩასვლისთანავე მოექცა აზერბაიჯანული მედიის ყურადღების ცენტრში. იქაურებმა უმალ ბოლნისის „სიონისა" და „ბაქოს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მისი და ბოიუკაგა გაჯიევის ინციდენტი გაიხსენეს. ის კი არა, გაჯიევს ცხადაძეზე კომენტარიც სთხოვეს...**

**— „სტანდარტის" ხელმძღვანელობის ასეთ ნაბიჯს მივესალმები. ცხადაძეს თავის დროზე ევროტურნირზე შევხვდი, ახლა ის აზერბაიჯანშია. კეთილი იყოს მისი ფეხი ჩვენს ქვეყანაში და ვნახოთ, რისი გაკეთება შეუძლია" — განაცხადა გაჯიევმა. თავის მხრივ, აზერბაიჯანულ პრესას პირველი ინტერვიუ მისცა ცხადაძემაც — მას ჟურნალი „ზერკალო" ესაუბრა...**

— თუ საიდუმლო არ არის, როგორ გახდით „სტანდარტის" მწვრთნელი?

— ამის შესახებ უკეთესად „სტანდარტის" ხელმძღვანელები გიპასუხებენ. ჩემი მხრივ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კლუბის დაინტერესების თაობაზე „სიონში" ჩემმა ყოფილმა თანაშემწემ, ბადრი კვარაცხელიამ მითხრა. მერე ერთმანეთს ტელეფონით შევეხმიანეთ და ბაქოში მოსალაპარაკებლად ჩამოვედი.

— პირველი შეხედვით როგორ სამუშაოა?

— ჩემთვის კარგი გამოწვევაა. სამი წელია, მწვრთნელად ვმუშაობ და ორჯერ ჩემს გუნდებს ჩემპიონატი მოვაგებინე. ვფიქრობ, ურიგო შედეგი არ არის. სიმართლე გითხრათ, მეტი მინდა და ვინ იცის, ეგებ აზერბაიჯანში მუშაობა ტრამპლინი გამოდგეს ჩემს კარიერაში. არ დავმალავ, მომავალში ძალების მოსინჯვა ევროპაშიც მინდა. მოხარული ვარ, „სტანდარტში" რომ მომიწვიეს. ეს ნიშნავს, რომ მარტო საქართველოში არ მიცნობენ.

— როდესაც „სტანდარტის" შეთავაზება მიიღეთ, გუნდზე რამე ინფორმაცია თუ გქონდათ?

— რაღაც-რაღაცები ვიცოდი. ბაქოში ვიდეოფირები გადმომცეს და „სტანდარტის" ხუთი თამაშის ნახვა მოვასწარი.

— და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— სასიამოვნო, თუმცა გუნდის თამაშიდან გამომდინარე, შედეგი მთლად საზარბიელო არ არის. „სტანდარტის" ფეხბურთელები ტექნიკურები არიან, არც „ფიზიკაში" მოიკოჭლებენ. ვფიქრობ, თქვენთან კლუბების დონით განსხვავება უმნიშვნელოა. „სტანდარტი", ძირითადად, უხეში შეცდომებით აგებდა. ამის მიზეზად კი ტაქტიკას დავასახელებდი, რომელიც, ვფიქრობ, არასწორად იყო შერჩეული. შესაძლოა, მე და ყოფილ მწვრთნელს სხვადასხვა შეხედულება გვაქვს ტაქტიკაზე.

— საინტერესო იქნებოდა, გაგვეგო, რა სხვაობაა აზერბაიჯანელ და ქართველ მწვრთნელებს შორის.

— აზერბაიჯანულ ფეხბურთთან შეხვედრა პირველად „სიონის" თავკაცობისას მომიხდა. მაშინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბაქოს" შევხვდით. ჯერ კიდევ პირველი მატჩისას შევამჩნიე ჩვენს შორის განსხვავება. თქვენი ფეხბურთი უფრო ძველმოდურია — სამი მცველით, მათგან ერთი ლიბეროთი თამაშობთ, თანამედროვე ფეხბურთში კი მიღებულია ოთხი მცველი ხაზზე. ამის გამოსწორებას „სტანდარტში" შევეცდები.

— არ გაგიჭირდებათ ტაქტიკური სქემის შეცვლა?

— იოლი არაფერია. იმის დრო მაქვს, რომ გუნდი ჩემს იდეას შეეგუოს და გაიგოს. ჩემთვის მთავარი ფეხბურთელები არიან. თუ მათ შეუძლიათ, ადვილი გახდება მათთან მუშაობა.

— კონტრაქტი ექვსთვიანია. რა ამოცანა დაგისახათ ხელმძღვანელობამ?

— პირველი წრის შემდეგ გუნდი მე-11 ადგილზეა და ვერ შევპირდებით, რომ სეზონის ბოლოს პრიზიორებში ვიქნებით — ეს არარეალურია. ამიტომ მაღალ მიზნებზე საუბარი არ შეიძლება. შევეცდებით, კარგი ფეხბურთი ვაჩვენოთ — შედეგი კარგი ფეხბურთის გარეშე შეუძლებელია. ამასთან, „სტანდარტი" ქვეყნის თასზეც თამაშობს და ვეცდებით, მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. მთავარი ამოცანა სამომავლოდ კარგი გუნდის გაკეთებაა. ჩემი აზრით, „სტანდარტი" პერსპექტიული და ამბიციური გუნდია.

— გუნდი შეკრებას თურქეთში გაივლის, სადაც გაძლიერებასაც უნდა ველოდოთ. საქართველოდან ხომ არ აპირებთ ფეხბურთელების მოწვევას?

— არა, ამის შესაძლებლობას ჯერ ვერ ვხედავ, თუმცა თურქულ შეკრებაზე რამდენიმე ფეხბურთელს გავსინჯავთ და მათგან საუკეთესოებს დავიტოვებთ.

— „სტანდარტის" თამაშები გინახავთ და ალბათ უკვე იცით გუნდის სუსტი წერტილები. თუ საიდუმლო არ არის, უფრო რომელი პოზიციის გაძლიერებას შეეცდებით?

— კარგი იქნებოდა, გაგვეძლიერებინა თავდასხმა, საყრდენი ნახევარდაცვა და ფლანგელი მცველები. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გადავწყვეტ. ამასთან, როგორც ვიცი, გუნდის დატოვებას რამდენიმე სხვა ამპლუის ფეხბურთელი აპირებს.

— თუ იცით, რომ აზერბაიჯანში თქვენ გარდა, სხვა უცხოელი მწვრთნელებიც მუშაობენ?

— რა თქმა უნდა. ვიცი, რომ ახლახან „ნეფთჩის" მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო გახდა. ამ გუნდის ყოფილი მწვრთნელი ვლასტიმილ პეტრაჟელაც კარგი სპეციალისტია. მითხრეს, რომ მე პირველი ქართველი ვარ, ვინც აზერბაიჯანში იმუშავებს და ვეცდები, ჩემმა ფეხბურთელებმა ღირსეულად ითამაშონ.

# ბაჩანა ცხადაძემ ვიტ ჯორჯია აირჩია



საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" „ამერიდან" პერსპექტიული თავდამსხმელი ბაჩანა ცხადაძე გადაიყვანა. ცხადაძე „ამერში" ბოლნისის „სიონიდან" გადავიდა, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა და წასვლაც ამიტომ ამჯობინა.

— „ვიტ ჯორჯიასთან" 2,5-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. მინდა, რომ ძირითადში ვითამაშო და ბევრი გოლით შევეშველო ჩემს ახალს გუნდს" — გვითხრა გუშინ ბაჩანა ცხადაძემ.

**ნუკრი ლოლაძე**



# ნიკოლას შაბათობა

„ჩელსის" მწვრთნელს ავრაამ გრანტს იმედი აქვს, რომ „ბოლტონისგან" ნიკოლა ანელკას ამ კვირის ბოლომდე იყიდის. მოგეხსენებათ, ორ ინგლისურ კლუბს შორის ვაჭრობა საკმაოდ ძნელად მიდის. სულ ბოლო ინფორმაციით ლონდონელებმა ბოლტონურ კლუბს 12 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, რაზეც კვლავ უარი მიიღეს, თუმცა, როგორც იტყობინებიან, გრანტი იმედს არ კარგავს და დაჟინებით იმეორებს, რომ ფრანგი ფორვარდი შაბათს, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" სათამაშოდ სჭირდება.

„სამშაბათსაც კი გვინდოდა ანელკა „ევერტონის" წინააღმდეგ გვეთამაშებინა, მაგრამ არ გამოვიდა, ასე რომ ახლა შაბათს ვუმიზნებთ. როგორც იცით, „ჩელსის" სამი თავდამსხმელი გამოეცალა ხელიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ფორვარდის შეძენა რაც შეიძლება სწრაფად არის საჭირო" — თქვა გრანტმა.

შეგახსენებთ იმ სამი თავდამსხმელის ვინაობას, რომელთა არყოფნაც ლონდონელი ლურჯების მწვრთნელმა დაიჩივლა: დიდიე დროგბა, სალომონ კალუ და ანდრეი შევჩენკო. დროგბას ტრავმის ამბავი საყოველთაოდ არის ცნობილი, კალუ აფრიკის თასზე სათამაშოდ გახლავთ წასული, ხოლო შევჩენკომ არცთუ დიდი ხნის წინ კოჭი დაიზიანა.

ნიკოლა ანელკამ შარშან აგვისტოში „ბოლტონ უონდერერზთან" ახალ ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მაგრამ ამის მიუხედავად, ყველა მის „სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლას ელის. ფრანგის მონაგარი ამ სეზონში 22 თამაშიდან 11 გოლია. შეგახსენებთ, რომ „ბოლოტონამდე" ანელკა სტამბოლის „ფენერბაჰჩეში" გამოდიოდა, საიდანაც პრემიერლიგელებმა 8 მილიონ გირვანქად გადაიბირეს.

**პაპუნა ძიძია**

# ჯეიმი: ვისა ჩემი...
## ფილაცას ხუმრობა ვერ გაუგია

**ამბავი,** რომელიც ქალაქ ლუტონში კვირას მოხდა, ასე იყო: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშების მატჩში ადგილობრივმა გუნდმა „ლივერპულთან" 1:1 ითამაშა. მატჩის შემდეგ, სტუმართა გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის 29 წლის ჯეიმი კარაგერი, მოედნის გარშემო ძუნძულებდა — ბევრი მწვრთნელი მატჩის შემდგომი ძუნძულის მეთოდს რეგულარულად მიმართავს — როდესაც მასპინძელმა ქომაგებმა დაცინვა დაუწყეს.

ხსენებული ქომაგები, რომლებსაც, როგორც ჩანს, შინისკენ არ ეჩქარებოდათ და ამიტომაც შემორჩნენ ტრიბუნას, თავისებურად იყვნენ ჩაცმულნი. მათი ჩაცმულობისა და პარიკების აღწერას ჩვენთვის დიდი აზრი არ აქვს, რადგან ტელესერიალი, რომელიც ინგლისში 90-იან წლებში გადიოდა და საიდანაც გახლდათ ლუტონელი ფანების ჩაცმულობა წამოღებული, ჩვენ არ გვინახავს. თუმცა იმას მოგახსენებთ, რომ სერიალი კომედიური იყო, ხოლო სცენა, რომელიც ტრიბუნაზე გაითამაშეს, სკუსერებს ანუ მერსისაიდელებს კენწლავდა.

ერთი სიტყვით, იმგვარი რამ მოხდა, იმერეთში კახური ანეკდოტების გმირი მიხო რომ გაითამაშონ ან კახეთში იმერელი ჭიჭიკია.

ისე, იმავ ფანებს ლივერპულის ნორვეგიელი ფეხბურთელი იონ არნე რიისეს ჟღალ თმაზეც უთქვამთ რაღაც, მაგრამ რიისემ ეს ამბავი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა, კარაგერმა კი ხუმარებს ჯერ დაუყვირა, მოკეტეთო, შემდეგ კი ტრიბუნასთან მივარდა და... დაცვის გასაყვანი შეიქნა.

„ლუტონის" ერთ-ერთი ფანი მაიკლ სეპსფორდი: „როგორ შეიძლება პრემიერლიგის ვარსკვლავი ასე იქცეოდეს".

კიდევ ერთი ფანი პლამბერ მაიკლი: „კარაგერმა კეთილი ხუმრობა ვერ აიტანა, არადა ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. ყოველდღიურად ასობით ფეხბურთელი ისმენს მსგავს ხუმრობებს და ხმას არ იღებს".


ჯეიმი კარაგერმა შემგინებელს არ შეარჩინა

ცნობისთვის: თამაშს ინგლისის ნაკრების ახალი თავკაცი იტალიელი ფაბიო კაპელო ესწრებოდა. სინიორ კაპელოს მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებია.

**პაპუნა ძიძია**



# ალანმა ალი ააგიზგიზა
## MONEY, MONEY, MONEY

**დიდი** „ლივერპულის" ოდინდელი ვარსკვლავი, 1979 წელს თბილისში, ქართველთათვის ლეგენდარულ მატჩში „დინამოსთან" 0:3 დამარცხებული ალან ჰანსენი მეტად საინტერესოდ მოიქცა: ფირმა „ზიგზაგი" ფეხბურთზე პუბლიცისტურ ფილმს იღებს, წლების მიხედვით დაწყობილ სერიებს, რომლის ერთ-ერთ გმირად მისტერ ჰანსენიც გახლდათ შერჩეული და, შესაბამისად, ჟურნალისტებმა მასთან ინტერვიუ ჩაიწერეს. ინტერვიუ ყოფილი ვარსკვლავის სახლში, მოგიზგიზე ბუხრის ფონზე შედგა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შოტლანდიელ რესპონდენტს ფილმის ავტორებმა ინტერვიუში ფული გადაუხადეს, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ, რომ... უფალი ჰანსენი ჩაწერის მსვლელობისას ბუხარში დამწვარი გაზის საფასურს მოითხოვდა. ამის შესახებ ყოვლისგამომჩხრეკმა „სანმა" მავანისგან შეიტყო. კერძოდ, მავანმა ასე ბრძანა:

„გადამღები ჯგუფი საუთპორტში ალან ჰანსენთან „ენფილდ როუდზე" გატარებული წლების შესახებ სასაუბროდ ჩავიდა. ჰანსენიც მეტად კეთილგანწყობილი მასპინძელი გამოდგა, სტუმრებს მთელი სახლი დაათვალიერებინა და ჩაწერისთვის მათთვის სასურველი ადგილის შერჩევის საშუალება მისცა. გადამღებმა ჯგუფმა ბუხრიანი ოთახი შეარჩია და ყოფილ ვარსკვლავს მის წინ დადგომა სთხოვა. რომ შეიტყო, ბუხრის ფონზე მიღებენო, ლივერპულელმა ახალი იდეა წამოისროლა — იქნებ, მეტი უშუალობისა და სილამაზისთვის ბუხარში ცეცხლიც აგვეგიზგიზებინაო. გადამღებ ჯგუფს მისტერ ჰანსენის ეს იდეეაც ძალიან მოეწონათ. რას წარმოიდგენდნენ, რომ ჩაწერის შემდეგ მასპინძელი ხარჯის ანაზღაურებას მოსთხოვდათ".

სხვათაშორის, ალან ჰანსენი გარდა ყოფილი ფეხბურთელობისა, საკმაოდ ცნობილი ტელესახეა, უკვე მრავალი წელიწადია, რაც მას გადაცემა „დღის მთავარი მატჩი" მიჰყავს.

ისევ „მავანი": „როდესაც დაზაფრული ჟურნალისტები მიდიოდნენ, ალანმა კეთილი ღიმილით შეატყობინა, რომ M6 ტრასაზე „საცობი" იყო".

„სანის" წარმომადგენელმა ამ სასეირო ამბავთან დაკავშირებით ალან ჰანსენის პრესწარმომადგენელს დაურეკა, რომელმაც კომენტარზე უარი განაცხადა.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ იყიდება!

**„ფიორენტინას“** სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ უარყო ცნობა გუნდიდან ფრეისა და მუტუს შესაძლო წასვლაზე. იტალიური მედიის ვერსიით, მეკარე სებასტიან ფრეის „მილანი“, ხოლო ფორვარდ ადრიან მუტუს „რომა“ ეპატიჟება, მაგრამ კორვინომ განაცხადა, ამ ფეხბურთელების გრძელვადიანი კონტრაქტები აქვთ და მათ გაყიდვას არ ვაპირებთო.

# უხეში ცხვარი

**„ბლექბერნის“** უელსელი ნახევარმცველი, უხეშობით ცნობილი რობი სევიჯი, „დერბიში“ გადავიდა. კლუბები უკვე მორიგდნენ, ხოლო 35 წლის ფეხბურთელი ამ დღეებში ხელშეკრულებას გააფორმებს. ტრავმამოშუშებულმა სევიჯმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვეღარ დაიბრუნა, „ცხვრებში“ კი მეტი სათამაშო დრო ექნება.

„გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მინდა და სხვა გზა არ მქონდა“ — თქვა უელსელმა.

# აქამდე გაუგონარი ამბავი

**ჰოლანდიელ** მწვრთნელ კო ადრიანსეს ფიფამ „პორტუსთვის“ ფულის (1,7 მილიონი დოლარის) გადახდა მიუსაჯა. მიზეზი: კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტა. 2006 წლის აგვისტოში ადრიანსე „პორტუდან“ სეზონის დაწყებამდე ათიოდ დღით ადრე „გაიქცა“ და ხელშეკრულების პირობა დაარღვია.

„ეს უპრეცედენტო შემთხვევაა ფეხბურთის ისტორიაში, რადგან მწვრთნელმა უნდა გადაუხადოს კომპენსაცია კლუბს და არა პირიქით“ — თქვა „პორტუს“ წარმომადგენელმა.

# კურანის კუჭი

**„შალკეს“** ფორვარდ კევინ კურანის კუჭის ტკივილის გამო რამდენიმე კვირა მკურნალობა მოუწევს. 25 წლის მეგოლე ორი დღის წინ შეუერთდა გუნდს თურქულ შეკრებაზე, მაგრამ ავადობის გამო წონაში საგრძნობლად დაიკლო და მწვრთნელმა ვარჯიშისგან გაათავისუფლა. „კურანი გერმანიაში დაბრუნდება და ცალკე მოემზადება“ — განაცხადა მირკო სლომკამ.

# რონალდომ ფლამენგო იუარა

**„მილანის“** ფორვარდმა რონალდომ თქვა, რომ „ფლამენგოში“ გადასვლას არ აპირებს და კარიერას კვლავაც იტალიურ კლუბში გააგრძელებს.

„მართალია, „ფლამენგო“ ჩემით დაინტერესდა, მაგრამ აქედან წასვლის სურვილი არ მაქვს. რადგან „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი უნდა დავიბრუნო“ — განაცხადა ბრაზილიელმა, რომელმაც საემიროების ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში 45 წუთი ითამაშა.

# ქორწილის შემდეგ

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ მცველი ბრანისლავ ივანოვიჩი, შესაძლოა, „ჩელსიში“ გადავიდეს. მისმა აგენტმა დეიან იაკსიმოვიჩმა ბრძანა, რომ ტრანსფერი ალბათ 15 იანვრამდე მოგვარდება.

„ბრანისლავს 12-ში ქორწილი აქვს და მეორე დღეს ლონდონში სამედიცინო შემოწმებისთვის ჩავა. ივანოვიჩმა „ლოკომოტივისგან“ უფლება მიიღო, რათა „ჩელსის“ ევაჭროს“ — თქვა იაკსიმოვიჩმა.

# სისეს პაპი

**„მარსელის“** პრეზიდენტმა პაპ დიუფმა „სიტის“ უარი უფხრა ჯიბრილ სისეს მიყიდვაზე: „ამ თემაზე საუბარი აღარ მინდა. სისე სეზონის ბოლომდე გუნდში დარჩება და ტრანსფერზე ზაფხულში ვილაპარაკოთ. „სიტის“ გარდა სხვა პრემიერლიგურ კლუბებსაც სურთ ჩვენი ფორვარდი, მაგრამ ყველას გავაგებინე, რომ ჯიბრილი არ იყიდება“ — აღნიშნა დიუფმა.

# გვათხოვეთ ლუკარელი

**იტალიური** მედიის ცნობით, დონეცკის „შახტარიდან“ კრისტიან ლუკარელის იჯარით წაყვანა „პარმას“ უნდა. 32 წლის მეგოლე შარშან ზაფხულს „ლივორნოდან“ გადავიდა „შახტარში“, მაგრამ იქაურობას ვერ შეეგუა და სამშობლოში დაბრუნება სურს. პარმელები დონეცკელებს 2 მილიონ დოლარს სთავაზობენ. ლუკარელის „ჯენოა“ და „ტორინოც“ ეპოტინებიან.

# ძამბროტა ივნისამდე მოიცდის

**„ბარსელონას“** იტალიელი მცველის ჯანლუკა ძამბროტას აგენტმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლომდე გუნდიდან წასვლას არ აპირებს. ზაფხულში მისი გადაბირება „მილანს“ უნდოდა და ამ ზამთარს მის მსურველებში „ჩელსი“ და „ტოტენჰემიც“ გაერივნენ.

„ძამბროტას კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს, მაგრამ გამოვრიცხავ, რომ ჯანლუკამ სეზონის დასრულების შემდეგ კლუბი გამოიცვალოს“ — თქვა მარსელო ბონეტომ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კიოუნი კის ამბობს



**„არსენალის“** ყოფილი ვარსკვლავი მარტინ კიოუნი ინგლისის ნაკრებზე ფიქრისას ასკვნის, რომ ამ გუნდში მეკარის პრობლემას მანუელ ალმუნია მოაგვარებს. მოგეხსენებათ, ალმუნია ლონდონელ „მეთოფეთა“ ესპანელი გოლკიპერია, რომელმაც ბრიტანეთის მოქალაქეობა ამა წლის მიწურულს უნდა მიიღოს.

კიოუნს კი თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 43 მატჩი აქვს ჩატარებული და იმაში, რომ მისი კარის ნდობას სხვა ეროვნების ადამიანს უპირებს, ვერანაირ უხერხულობას ვერ ხედავს. სიალალითა და პირდაპირობით გამორჩეული ყოფილი მცველი ამჯერადაც ყოველგვარი დიპლომატიურობის გარეშე ჭრის:

„ორი აზრი არ არსებობს, მანუელ ალმუნია საუცხოო მეკარეა და თუ ინგლისის ნაკრების კარში ჩადგება, გუნდის თამაშის ხარისხი ერთიორად აიწევს. მოდი, სიმართლეს ნუ დავემალებით, დღეს მოთამაშე ინგლისელ მეკარეებთან შედარების ალმუნია, სულ მცირე, ორი თავით მაღლა დგას“.

მოგეხსენებათ, ინგლისელთა მთავარ გოლკიპერად პოლ რობინსონია მიჩნეული, ოღონდ ეგაა, რობინსონმა ბოლო თვეების განმავლობაში მეტისმეტად უხეში შეცდომებით დაამახსოვრა გულშემატკივარს თავი. მის გარდა არის ლაპარაკი სკოტ კარსონსა და დევიდ ჯეიმსზეც, თუმცა ამ ორ მეკარესაც პერიოდულად გვარიანი სისუსტეები მოსდის.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიოუნის მსგავსი აზრისაა თავად „არსენალის“ მწვრთნელი, ცნობილი ფრანგი არსენ ვენგერიც, რომელმაც ინგლისელთა ნაკრების ახალ იტალიელ თავკაცს ფაბიო კაპელოს უკვე ურჩია 30 წლის ალმუნიას „გაინგლისელება“. აღსანიშნავია, რომ „გაინგლისელების“ წინააღმდეგ არც თავად ალმუნია გამოვიდა. ესპანელმა ბრძანა:

„მე, როგორც ადამიანი, ინგლისს სრულიად შევერწყი. სხვა ამბავია ვინმე საკითხის მორალურ მხარეზე თუ დაიწყებს ლაპარაკს და იკითხავს, არის თუ არა გამართლებული ტომით უცხოელის სხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდში თამაში. ამაზე ჩემი პასუხი ის გახლავთ, რომ ინგლისის ნაკრებს უკვე მწვრთნელი ჰყავს უცხოელი, ხოლო კრიკეტსა და რაგბიში არც სხვა ეროვნების მოთამაშეთა აყვანას ერიდებიან. ერთი სიტყვით, თუკი იურიდიულად ამის საშუალება იქნება, ინგლისის ნაკრებში გამოსვლაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი. მეორე მხრივ, ჯერჯერობით ამ თემაზე საუბარი, ცოტა არ იყოს ნაადრევია“.

შეგახსენებთ, რომ მანუელ ალმუნიამ მიმდინარე სეზონის დასაწყისში „არსენალის“ ძირითადი შემადგენლობიდან ცნობილი გერმანელი მეკარე იენს ლემანი ამოაგდო.

**პაატუნა ძიდია**

# ტრებლით მაინც სულ სხვაა

**ალექს ფერგიუსონმა** „მანჩესტერ იუნაიტედს“ მკაფიო მიზანი დაუსახა — ტრებლი 1999 წლის მსგავსად. ხომ გახსოვთ, თუ რას ნიშნავს ეს ინგლისური სიტყვა? აქ ერთ სეზონში სამი ჯილდოს მოპოვება ანუ სამ შეჯიბრებაში გამარჯვება იგულისხმება. ეს შეჯიბრებებია: ინგლისის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი.



საქმე კი ის გახლავთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონს ღრმად სწამს — წლევანდელის დარი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბოლო 24 წლის განმავლობაში არ ყოფილა. სხვა სიტყვებით, დღევანდელი „მანჩესტერი“ 1999 წლისას სჯობს, მაშინდელში კი — აბა, რა დაგავიწყებდათ — დევიდ ბექჰემი, როი კინი, საუცხოო ფორმაში მყოფი რაიან გიგზი და სხვა გამორჩეული ვარსკვლავები გამოდიოდნენ.

და ახლა? დავიწყოთ იმით, რომ 2008 წელი ფერგის ბიჭებმა „ასტონ ვილასთან“ სწორედ ფეხბურთის ასოციაციის თასზე გამარჯვებით, ანუ კარგ ნოტაზე დაიწყეს, მაგრამ ეს იმდენად მთავარი არ არის, რამდენადაც ზაფხულის შენაძენნი: კარლოს ტევესი, ოუენ ჰარგრივზი, ნანი და ანდერსონი. სწორედ ამ ვარსკვლავებზე და რასაკვირველია, კრიშტიანუ რონალდუსა და უეინ რუნიზე დაყრდნობით აპირებს სერ ალექსი ტრებლის მოპოვებას.

პრემიერლიგის ცხრილში სადღეისოდ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „არსენალს“ ორი ქულით ჩამორჩება.

ფერგიუსონი: „ჩემთვის ევროპული წარმატება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც წარმატება პრემიერლიგაში, ხოლო იმ ფეხბურთელებით, დღეს ჩვენს განკარგულებაში რომ არიან, ნებისმიერი წარმატების მოპოვება სრულიად შესაძლებელია. ევროპაში კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისითაც ახლანდელი „იუნაიტედი“ 1999 წლისაზე უკეთესია. გარდა ამისა, ჩემი ოპტიმიზმი ეფუძნება იმ ერთსულოვნებას, რომელსაც ამ სეზონში მივაღწიეთ. ახალი ფეხბურთელები ასე მალე და ასეთი ხარისხით თუ შეერწყმებოდნენ ჩვენს გუნდს, ნამდვილად არ ველოდით“.

**პაატუნა ძიდია**

# ფორთოხლები იუვეში?



ტურინის „იუვენტუსს“ ბევრ ფეხბურთელს უკავშირებენ, მათ შორის არიან „ჰამბურგის“ ჰოლანდიელი შემტევი ნახევარმცველი რაფაელ ვან დერ ვაარტი, მისი თანამემამულე კლაას იან ჰუნტელაარი და „ლივერპულის“ შუახაზელი მოჰამედ სისოკო.

ვან დერ ვაარტმაც და ჰუნტელაარმაც საჯაროდ განაცხადეს, „იუვენტუსში“ გადასვლა ძალიან გვინდაო. მათი ტრანსფერები, სავარაუდოდ, მომავალ ზაფხულს უნდა განხორციელდეს.

„იტალიის ჩემპიონატი ძალიან დაძაბული და საინტერესოა. სერია A-ში თამაში საოცარ გამოცდილებას შემძენს. საერთოდ, იტალია ბრწყინვალე ქვეყანაა და იქ სიამოვნებით ვიცხოვრებ. თუმცა ახლა „ჰამბურგის“ ფეხბურთელი ვარ და მინდა, აქ კარგი სეზონი მქონდეს. ბრწყინვალე წინადადება შემომთავაზეს, მაგრამ კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ვაპირებ, რადგან კლუბთან მოქმედი შეთანხმება 2010 წლამდე მაქვს და „ჰამბურგში“ ჩემს თავს ასე დიდი ხნით ვერ ვხედავ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ „იუვენტუსის“ დარი დიდი გუნდი ასეთ ინტერესს იჩენს, თუმცა მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ კონკრეტული არაფერი ყოფილა“ — თქვა 24 წლის ვან დერ ვაარტმა.

თუ „იუვენტუსი“ და „ჰამბურგი“ ვერ მოილაპარაკებენ, არის მეორე ვარიანტიც — ვან დერ ვაარტს შეუძლია, თავისი კონტრაქტი გამოისყიდოს ორი წლის ხელფასის საფასურად.

„მირჩევნია, კლუბები ჩვეულებრივად შეთანხმდნენ ყველაფერზე, თუმცა არ ვიცი, დაწყებულია თუ არა მოლაპარაკება. „იუვენტუსში“ გადასვლა მართლაც ძალიან მინდა. ტურინელთა კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ფანტასტიკური ფეხბურთელია და მასთან ერთად თამაში ჩემი ოცნებაა“ — დასძინა ვან დერ ვაარტმა.

„ჩემი მიზანი დიდ კლუბში გადასვლაა და „იუვენტუსი“ ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეული გრანდია. ვნახოთ, რა მოხდება, მოვლენების განვითარებას მშვიდად ველი. „იუვეზე“ ბევრი რამ ვიცი, ჰოლანდიაში ტურინელებს „ბებერ ქალბატონს“ ვეძახით. „ბიანკონერის“ უამრავი ტიტული აქვს მოპოვებული და მშვენიერი გუნდია. ედგარ დავიდსმა „იუვესა“ და სერია A-ზე ბევრი კარგი რამ მითხრა. იტალიის ჩემპიონატს ხშირად ვუყურებ, რადგან ძალიან მომწონს. მიხარია, რომ „იუვენტუსი“, „ფიორენტინა“ და „მილანი“ ჩემით დაინტერესდნენ. თუმცა კონკრეტული წინადედება ჯერ არავისგან მიმიღია“ — განაცხადა ჰუნტელაარმა.

რაც შეეხება სისოკოს, დიდი შანსია, ეს შუახაზელი „იუვეში“ იანვარშივე აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, „ლიველპულის“ მალელ ლეგიონერს ტურინელები ადრეც უტრიალებდნენ, მაგრამ მაშინ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ახლა კი თითქოს საერთო ენა უნდა გამონახონ.

მომო სისოკო: „ამ მომენტში „ლივერპულთან“ მაქვს კონტრაქტი. თუმცა უახოლეს დღეებში რაღაც ამბებს ველოდები. ჩემი აგენტი „იუვენტუსსა“ და „ლივერპულთან“ მოლაპარაკებას მართავს. გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ შეთანხმების მიღწევას წინ არაფერი უდგას. ძალიან გამიხარდება, თუ „იუვენტუსის“ დარ პრესტიჟულ და ძლიერ გუნდში ვითამაშებ. ეს ჩემთვის ახალი გამოწვევა იქნება“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# რესტორნიდან გამოვდივარ და...



**შეიძლება, რომ უეინ რუნიმ უეინ რუნი თავის ჭკუაზე მართოს? რა თქმა უნდა, შეიძლება და სწორედ ამ უცნაურ ამბავზე, მაიკ ტაისონსა და ცისფერ გიტარაზე ისაუბრა „მანჩესტერის“ ფორვარდმა BBC-ისთან ინტერვიუში**

**— ძნელია პოპულარობა და მუდმივად ყურადღების ცენტში ყოფნა?**

— ძნელი არაა, მაგრამ ყოველთვის არ მსიამოვნებს. წარმოიდგინეთ, რომ ოჯახთან ერთად რესტორანში ხართ, ან სტუმრად მეგობრებთან იყავით, იქიდან გამოსულს კი ფოტოკამერები დაგეტაკებიან. ეს ხომ აუტანელია, თუმც ასე მუშაობს აქაური მედია და ამას უნდა შეეგუო, ყურადღება არ უნდა მიაქციო.

**— არ გენტარება ის დრო, როცა ქუჩაში მშვიდად შეგეძლო გასვლა?**

— ადრე სულ სადღაც დავდიოდი, მეგობრებს ვხვდებოდი, რადგან ადამიანებთან ურთიერთობა მსიამოვნებს და ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია. ახლაც გავიდვარ ხოლმე ქუჩაში, მაგრამ მედიის გამო ამას ძველებურად ხშირად ველარ ვახერხებ.

**— რას ურჩევ პატარა ბიჭებს, რომლებსაც ფეხბურთელობა სურთ?**

— მოთმინებას, ყოველდღიურ ვარჯიშს და სწავლას. თუ დიდ გუნდში მოხვედრა უნდათ, მსხვერპლი უნდა გაიღონ, სხვანაირად მიზანს ვერ მიაღწევენ.

**— უცნაურად არ გეჩვენება, რომ ცნობილი ხალხი შენთან დამეგობრებას ცდილობს?**

— მართალი გითხრათ, მეუცნაურება. როცა რამე დღესასწაულზე მივდივარ, მიხარია პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებსაც ტელევიზორში ვხედავ, მაგრამ მათგან ვინმე ჩემთან გამოლაპარაკებას თუ ეცდება, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ. მეორე მხრივ, მსიამოვნებს, რომ მცნობენ.

**— ცნობილ ვარსკვლავებს შორის კერპი თუ გყოლიათ?**

— არასოდეს. ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც შეხვედრა მინატრია, მაიკ ტაისონია და ეს ნატვრაც ამიხდა. რამდენჯერმე შევხვდი და ეს იყო აშკარა დაუჯერებელი. ტაისონი კარგი ბიჭია.

**— კომპიუტერით ფეხბურთის თამაშისას „მანჩესტერის“ და ინგლისის ნაკრების რომელიმე სხვა გუნდს ირჩევ ხოლმე?**

— არასოდეს. საკლუბო ტურნირში ყოველთვის „მანჩესტერს“, სანაკრებოში კი — ინგლისს.

**— ჯოისტიკით საკუთარი თავის მართვა როგორია?**

— მართლაც უცნაურია! სანამ „ევერტონში“ მოვხვდებოდი, კომპიუტერულ თამაშებში არ ვიყავი და საკუთარ თავს „ვქმნიდი“, ახლა კი „ფლეისთეიშენში“ ვარ და არაჩვეულებრივი შეგრძნებაა, როცა რუნი რუნის ათამაშებს.

**— მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ვინაა?**

— კრიშტიანუ რონალდუ დიდებულია და ყოველწლიურად უფრო და უფრო უმატებს. არანაკლებ კარგია ლიონელ მესი.

**— მართალია, რომ ნოელ გალაჰერმა (ბრიტანული როკჯგუფ „ოაზისის“ ლიდერი, „სიტის“ ფანი) დაბადების დღეზე „სიტის“ ფერებში შეღებილი გიტარა გაჩუქათ?**

— დიახ. ეს უნიკალური საჩუქარია.

**— პრესაში წერდნენ, რომ მოგვიანებით გიტარა ვიღაცას მიეცით...**

— როგორ გეკადრებათ! სახლში ვინახავ.

## მასიმო მორატიმ მანიშე დაადასტურა

**ესპანური** მედიის ცნობით, პორტუგალიელი მანიშე მადრიდის „ატლეტიკოდან“ მილანის „ინტერში“ გადადის. 30 წლის ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და კლუბი მზადაა, სეზონის ბოლომდე გაანათხოვროს. „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ დაადასტურა, რომ მისმა კლუბმა მანიშეს ტრანსფერი თითქმის მოაგვარა. „ატლეტიკოს“ მწვრთნელი ხავიერ აგირე პორტუგალიელს ბოლო ხანს აღარ წყალობს და ზედიზედ ოთხ მატჩში არ ათამაშა.

## ბელუჩის ბერძნული მილიონები

**საბერძნეთის** ჩემპიონმა „ოლიმპიაკოსმა“ „რივერ პლეიტის“ შემტევი ნახევარმცველი ფერნანდო დანიელ ბელუჩი შეიძინა და ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია, თუმც ბერძნული მედიის ცნობით, 24 წლის ბელუჩი სეზონში 1,4 მილიონ ევროს მიიღებს. „ნებისმიერი არგენტინელი ფეხბურთელი კარიერის ევროპაში გაგრძელებაზე ოცნებობს — თქვა ნახევარმცველმა — მინდა, „ოლიმპიაკოსს“ გაჩემპიონებაში დავეხმარო“.

## რედინგმა 104 იყიდა

**„მლადა ბოლესლავის“** ნახევარმცველი მარეკ მატეიოვსკი „რედინგმა“ შეიძინა. „ძალიან მიხარია ინგლისში გადასვლა, რადგან მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ვითამაშებ“ — განაცხადა 26 წლის ჩეხმა ფეხბურთელმა. უცნობია, თუ რამდენი დაუჯდა „რედინგს“ ტრანსფერი, მატეიოვსკიმ კი, ვისაც „მლადა ბოლესლავში“ 104 მატჩი ჩაუტარებია, სამწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა. ჩეხეთის ნაკრებში მისი დებიუტი შარშან თებერვალში, ბელგიასთან შედგა, გერმანიას კი ევროშესარჩევ შეხვედრაში გოლი გაუტანა.

## შვილის გამო

**„ბორდოსა“** და „მარსელის“ ყოფილი მწვრთნელი ჟერარ ჟილი კოტ დივუარის ნაკრების თავკაცად დანიშნეს და გუნდს აფრიკის თასზე გაუძღვება. ფრანგმა ული შტილიკე შეცვალა, რადგან გერმანელის შვილი კომაში ჩავარდა და მამას ფეხბურთისთვის არ სცალია. ჟერარ ჟილი კოტ დივუარის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო აფრიკის 2006 წლის თასზე, როცა „სპილოებმა“ ფინალში მასპინძელ ეგვიპტესთან წააგეს.

## უორტინგტონს ქაღალდი მიაწოდეს

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ნაკრების მწვრთნელად შესაძლოა, ნაიჯელ უორტინგტონი დატოვონ. მას ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და, ალბათ, ამ დღეებში ქალალდებს ხელს მოაწერენ. „ნორვიჩის“ ყოფილმა თავკაცმა ნაკრებში ივნისში ლორი სანჩესი დროებით შეცვალა და გუნდი ევროშესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზე გაიყვანა ესპანეთის და შვედეთის შემდეგ.

## პატარა ბიჭი ნიუკასლში

**„სუინდონის“** ნიჭიერი მცველი, 17 წლის ბენ ტოზერი „ნიუკასლმა“ იყიდა და ოთხწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გაუფორმა. კლუბები დეკემბრიდან ვაჭრობდნენ და ამ თვის დასაწყისში მორიგდნენ. ტოზერი „სუინდონში“ შარშან „პლიმუთიდან“ გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში პირველად აგვისტოში, ინგლისის ლიგის თასზე ითამაშა.

## მარტინი 10 მილიონად

**სანკტ პეტერბურგის** „ზენიტის“ სლოვაკი ლეგიონერი მარტინ შკრტელი „ლივერპულში“ გადადის. ამის შესახებ მისმა აგენტმა ვიქტორ კოლარმა სლოვაკურ „სპორტს“ განუცხადა. კოლარის თქმით, ტრანსფერი თითქმის მოგვარებულა. 23 წლის მცველი „ლივერპულს“ დაახლოებით 10 მილიონი ევრო დაუჯდება და ფეხბურთელი ინგლისში ამ კვირის ბოლოს ჩავა.

## კომპანის კანი გაუგრძელეს

**„კანის“** ფორვარდმა ლილიან კომპანიმ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. 30 წლის ფეხბურთელი გუნდში 2010 წლის ბოლომდე დარჩება — წერს უეფას ოფიციალური ვებგვერდი. გარდა ამისა, „კანმა“ ნახევარმცველი ალექსანდრ რენო მეორე დივიზიონის „ლიბურნს“ ათხოვა.

## ოპერაცია პიზანო

**„კალიარისა“** და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მცველ ფრანჩესკო პიზანოს საზარდულის ოპერაცია გაუკეთეს და დაახლოებით ერთი თვით გამოეთიშვიდობა ფეხბურთს. ტრავმის გამო ამ სეზონში პიზანომ მხოლოდ ხუთი მატჩში ითამაშა.

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერნდ შუსტერი: ჩემპიონად რეალი გნებავთ? ხვალვე, სენიორ!




**9 იანვარს ბერნდ შუსტერს „რეალის" დამრიგებლობის 6 თვე შეუსრულდა. „ასმა" გერმანელს საინტერვიუოდ მიაკითხა და „ბერნარდომაც" სამეფო გუნდზე და სხვა თემებზეც საინტერესოდ ისაუბრა**

**— ერთი წლის წინ მადრიდის „რეალი" „რიასორზე" „დეპორთან" წვალობდა, სპორტული დირექტორი მიატოვიჩი რონალდოს დაუყოვნებლივ გაყიდვის მომხრე იყო და მაშინდელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომაც დევიდ ბექემს სპორტული აპარტეიდი მოუწყო. რას ფიქრობდა ყოველივე ამის შესახებ „ხეტაფეს" დამრიგებელი ბერნდ შუსტერი?**

— „რეალს" მაშინ შორიდან ვუმზერდი და ძალიან მიკვირდა — რა უბედურებაა, ამ გუნდს ამდენი პრობლემა რატომ უნდა აწუხებდეს? თუმცა იმ დროს „რეალის" თავკაცობამ და საერთოდ, კლუბმა ივაჟკაცა, წუწუნს და პრობლემებზე საუბარს საქმის კეთება არჩიეს და სიტუაცია დაარეგულირეს. როგორც დრომ უჩვენა, რონალდოს სხვაგან გადაბარგებამ გაამართლა და ბექემის დაბრუნებამაც კლუბს ძალიან უშველა — ინგლისელი მადრიდელებს ტიტულის მოგებაში დაეხმარა. თუმც, გულწრფელად რომ ვთქვა, „ხეტაფეში" „ბერნაბეუს" ბიჭების ჩემპიონობა სასწაულად მივიღეთ, სასურველ სასწაულად, რა თქმა უნდა.

**— და მაშინდელი არასტაბილური გუნდის ასე სასიკეთოდ გარდაქმნა როგორ მოხერხდა?**

— ამაში ლომის წილი გუნდის პრეზიდენტს ეკუთვნის, ვინც ცვლილებებს არ შეუშინდა. და, რასაკვირველია, სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმაც ნაყოფიერად იშრომა — 19 მნიშვნელოვანი ტრანსფერის გაჩარხვა შეძლო. „რეალმა" ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო, მაგრამ დირექტორმა სამწვრთნელო ცვლილებების განხორციელება მაინც გადაწყვიტა — დრომ უჩვენა, რომ სწორად მოიქცეულან. „ბერნაბეუს" გუნდს ახალი სისხლი გადაუსხეს, სხვა ფილოსოფია დანერგეთ, ხელშეუხებელთა კასტა კი ისტორიას ჩაბარდა.

**— გეთანხმებით, თუმცა უფრო ლოგიკური იქნებოდა, ოქროს მედლების მოგების შემდეგ „რეალის" მწვრთნელად ფაბიო კაპელო დარჩენილიყო...**

— რა თქმა უნდა. განა უფრო ადვილი არ იქნებოდა, რომ მასთან თანამშრომლობა გაეგრძელებინათ და ცხოვრება არ გაერთულებინათ? ზუსტად იმიტომ მინდა, პრეზიდენტ კალდერონს მადლობა გადავუხადო, რომ ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ თავისი იდეის ერთგული დარჩა და გუნდის თავკაცობა მე ჩამაბარა. ყველანი ვაღიარებთ, რომ ამ გადაწყვეტილებამდე მისვლა ადვილი არ ყოფილა. გუნდი ჩვენ ჩაგვაბარეს და მომავლის „რეალს" ვაშენებთ.

**— იმედია, შუსტერი იმ მომავლის „რეალის" ფანკლუბის წევრი მაინც იქნება...**

— იცით, რომ სერიოზულად ვფიქრობ ამის შესახებ? მინდა, „სრულუფლებიანი რეალელი" გავხდე და კლუბმაც ჩემი გადაწყვეტილება მშვენივრად იცის. დღემდე „ბარსელონას" ფანკლუბის წევრი ვარ, ყოველ შემთხვევაში, კატალონიელებს ჯერ კლუბიდან არ გავუძევებივარ...

**— ამჟამად სამეფო გუნდი ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერია. ასეთი რადიკალური რესტრუქტურიზაციის შემდეგ სასურველ შედეგებს როგორ მიაღწიეთ?**

— ადვილად გიპასუხებთ — იმით მივაღწიეთ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოსული ახალწვეულები ტიტულების მოგების დიდ წყურვილს განიცდიდნენ და იცოდნენ, თამაში რა გრანდშიც მოუწევდათ. თან ძლიერი ბაზისიც დახვდათ — რაული, რუუდ ვან ნისტელროი, ფაბიო კანავარო, გუტი და იკერ კასილიასი. ახალწვეულთა და ვეტერანთა იღბლიანი შეთავსებით მივიღეთ შემადგენლობა, რომელიც ფეხბურთში უმაღლესი დონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ვინც „რეალს" იცნობს, იცის, აქ როგორი ფსიქოლოგიაც აქვთ — ბრწყინვალე გამარჯვებებს ყოველდღიურად გთხოვენ. სიტყვა „დავიცადოთ" არ არსებობს სამეფო გუნდის ლექსიკონში. იცით, „რეალთან" კონტრაქტის გაფორმების დღეს თავკაცებმა რა მკითხეს? „ბერნარდო, შენი სპორტული პროექტი ნაყოფს როდის მოიტანს?" „ჰოდა, „ბერნარდომაც" უპასუხა: ხვალვე სენიორ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე!" ეს მადრიდია, მეგობარო, აქ მარტო მოგება ფასობს, ექსპერიმენტებს კი ამრეზით ეკიდებიან. ფეხბურთელებმა ეს იციან და მადრიდული გრანდის მოთხოვნებს პატივს სცემენ. თან, რასაკვირველია, საქმის კეთებაში ტალანტი და შრომისმოყვარეობაც ხელს უწყობთ.

**— ახლა ისიც ვთქვათ, რომ გრანდ გუნდებთან მართლა შესანიშნავად ბურთაობთ, მაგრამ „ალმერიას", „უელვას", „ხეტაფეს", „მურსიასა" და „ვალიადოლიდის" დონის მეტოქეებთან თამაში გიჭირთ. ანუ მადრიდი არც ისე ბრწყინვალეა და კიდევ ბევრი რამ გაქვთ გამოსასწორებელი...**

— როცა მოწინააღმდეგედ გრანდი გყავს, იცი, რომ ფეხბურთელები საკმარისად არიან მოტივირებულნი და მათთან ბევრი საუბარი არ არის საჭირო. თქვენ რა, გგონიათ, ჩემპიონთა ლიგაში „ლაციოსთან" უმნიშვნელოვანესი ამაშის წინ ბიჭებთან ლექციის წაკითხვა დამჭირდა? როდესაც ძლიერთან გვიწევს თამაში, ფეხბურთელებს არანაირი დამუხტვა და რჩევის მიცემა არ სჭირდებათ, ისე არიან მონდომებულები. აი, როცა „მურსიასთან" ჯახი გველოდება, ჩვენი ბიჭებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ ძალების სრულად მობილიზება უჭირთ. ისევ მარადიულ ფსიქოლოგიას დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მარტო მოგება არ უნდათ, გულშემატკივართა მთავარი მოთხოვნა ლამაზად გამარჯვებაა. „სარაგოსასთან" ამასწინანდელ მატჩში ლამაზად გამარჯვება არ ყოფილა და საერთოდ, ის თამაში ისე არ წარიმართა, როგორც ჩვენ დავგეგმეთ.

**— ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თქვენი სათამაშო სტრატეგიის ერთგული არ ყოფილხართ, ყოველ შემთხვევაში, გარეშე თვალისთვის ასე ჩანს. ლა ლიგა გუტისა და სნეიდერთან ერთად დაიწყეთ, მერე „ბარსელონასა" და „სარაგოსასთან" ჟულიო ბაპტისტა დიარაზე წინ გაამწესეთ, გუტი სათადარიგოებში გაგზავნეთ, ხოლო გაბრიელ ჰაინცემ განაპირა მცველად ითამაშა. შუსტერის სტრატეგიის „კაპელიზაცია" ხომ არ მომხდარა?**

— არ დაიჯეროთ. ჩემს თავდაპირველ გეგმაში დაცვაში რამოსის, პეპეს, კანავაროს და ჰაინცეს დაყენებას ვფიქრობდი, მაგრამ ტრავმების გამო „კამპ ნოუს" მატჩამდე მათი ერთად შეკრება არ მოხერხდა. ცუდბედიანობას ჩემი გეგმები არ შეუცვლია, ხსენებული კვარტეტი სადღეისოდ საუკეთესოა ევროპაში. რა თქმა უნდა, მარსელოსაც ვენდობი, თუმცა იგი ჯერ ახალგაზრდაა და კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. მარსელოს თამაში მომწონს, მაგრამ ამ ბიჭმა იცის, რომ სიტუაციის შესაბამისად, მის მაგივრად მოედანზე ჰაინცეს გამოჩენამ არ უნდა გააბრაზოს.

**— აფრიკის თასზე საომრად წასულ მაჰამადუ დიარას „რეალში" ვინ შეცვლის?**

— რამდენიმე ვარიანტი მაქვს, თუმცა ვფიქრობ; რომ ფერნანდო გაგო საამისოდ ყველაზე შესაფერისია. არგენტინელი მუყაითად შრომობს და თამაშის სტილითაც დიარას წააგავს. მართალია, ფერნანდო დიარასავით ფიზიკურად ლომკაცი არ არის, მაგრამ პასის შესანიშნავ ტექნიკას ფლობს, რითაც „რეალი" მხოლოდ ხეირს ნახავს. თუმცა, ვინც რა უნდა თქვას, იანვარში დიარას მაინც მოვისაკლისებთ, იგი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „რეალის" ძლიერი შემადგენლობის წყალობით, საქმე არ უნდა გაგვიჭირდეს, გაგოს წინ ბაპტისტა, სნეიდერი და გუტი არიან. როცა საჭიროება მოითხოვს, სამივენი ითამაშებენ და პრობლემებიც არ გვექნება.

**— იკერ კასილიასზე რას გვეტყვით? არ გაშფოთებთ, რომ ბოლო ხანებში შეტევაზე ორიენტირებული გრანდის მთავარ გმირად მეკარე იქცა?**

— რატომ უნდა მაშფოთებდეს? ფეხბურთს და, რა თქმა უნდა, გფრ-ს ნაკრების წარმატებულ წინსვლას თვალს ბავშვობიდან ვადევნებდი და ამ შესანიშნავ გუნდში მეკარე ზეპ მაიერის სიდიადე ნამდვილად არ მაკვირვებდა. მენტალიტეტი უნდა შევიცვალოთ. თუ „რეალს" ყველა პოზიციაზე გრანდი მოთამაშის პრეტენზია აქვს, გოლკიპერმა რაღა დააშავა?

**— ფაბიო კაპელოს „რეალის" კარში იკერზე მაღალი გოლკიპერის ხილვა სურდა. იტალიელს, ალბათ, „ოქროს ბურთის" და „ფიფა ვორლდ ფლეიერის" პასუხისმგებელნიც ეთანხმებიან, კასილიასს არანაირი ჯილდო არ აღიარეს...**

— შეშფოთებისთვის მიზეზი არ არსებობს. თავის დროზე ჯიჯი ბუფონმაც ოცნებით დაიწყო და მერე დიდი ჯილდოების მოპოვება შეძლო. იკერიც თუ ასე გააგრძელებს, ადრე თუ გვიან „ოქროს ბურთის" მფლობელი გახდება. იგი ამას ნამდვილად იმსახურებს, თუნდაც ბოლო თამაში გავიხსენოთ, „სარაგოსასთან", სადაც იკერი სწორუპოვარი გახლდათ. კასილიასის გულშემატკივრებს ვურჩევ, ამ მატჩის ჩანაწერი კიდევ ერთხელ ნახონ.

**— პეპე ნამდვილად ღირს 30 მილიონი ევრო?**

— დიახ, დიახ და კიდევ ერთხელ დიახ. სულაც არ გამკვირვებია პეპეს აქტიურობა. ამ ფეხბურთელს „პორტუს" პერიოდიდან ვაკვირდები და სულ ვიცოდი, რომ უკანახაზელთა ლიდერი იყო. როცა აიწყვეტს, ფენომენალური რამეების გაკეთება შეუძლია. პეპე ფერნანდო იეროს მაგონებს...

**— თქვენს პრეზიდენტ კალდერონს მარტში უთხარით, რომ ფაბიო კანავარო არ გაეყიდა. ამბობდით, რომ იტალიელი ისევ ძველებურად ძლიერად ათამაშდებოდა და სადღეისოდ ფაბიო ისევ „ბერნაბეუზეა"...**

— კანავაროს ოსტატობაში ეჭვი არავის შეპარვია და ყველამ ვიცოდით, რომ სტაბილურ შემადგენლობასთან ერთად, იტალიელი ჩვეულ მაღალ დონეს უჩვენებდა.

**— არიენ რობენის „აფეთქება" აგვიანებს. ჰოლანდიელმა იმედები გაგიცრუათ?**

— რობენს დრო უნდა მივცეთ. „რეალში" სამი თვის უთამაშებელი და ტრავმირებული მოვიდა. სეზონთაშორისი მომზადება არ გაუვლია და ამან ჰოლანდიელზე ცუდად იმოქმედა. არიენ რობენის, როგორც თქვენ ამბობთ, „აფეთქებას" მოუთმენლად ველოდები.

**— არ მითხრათ, რომ დრენტემ და სავიოლამაც გაგიმართლეს...**

— ნაწილობრივ გაგვიმართლეს. დრენტე ძალიან ახალგაზრდაა, ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეც იყო, მაგრამ იგი რობენის სათადარიგოა, ვინც, თავის მხრივ, რობინიოს სამარქაფო გახლავთ. ამ მობურთალს სიმშვიდე მართებს, მოლვაწე ნიდერლანდელები იმედს არასოდეს კარგავენ. სავიოლას „გასაჭირი" კი „რეალის" თავდასხმაში რაულისა და რუუდ ვან ნისტელროის წყვილია. მათი დუეტი ხომ საუკეთესოა ევროპაში. ხავიერი თავისი საქმის გაკეთებას ცდილობს, რაც „რეალში" უყურადღებოდ არ რჩება.

**— „რეალის" ამჟამინდელი შემადგენლობა ასე ერთ მუშტად შეკრული რატომაა?**

— ახლა ყველა ერთ საფეხურზე ვდგავართ. კაპიტნიდან დაწყებული, ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელით დამთავრებული, პრეზიდენტ კალდერონიდან „რეალის" ფიზმომზადების სპეციალისტამდე, ყველა ერთ მიზანს, სამეფო გუნდის გამარჯვებას ვემსახურებით. აქ არავინ არავის ზევიდან არ უყურებს. „რეალის" საშობაო ფიესტა რომ გენახათ, ჩვენი ოჯახის ერთიანობაში ნამდვილად დარწმუნდებოდით.

**— სამი თვის წინ ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ მიატოვიჩთან სიტუაცია მოაგვარეთ...**

— გადასარევი ურთიერთობა გვაქვს. გუნდის საქმეებს ერთად ვარკვევთ. ჩვენს შორის არანაირი უთანხმოება აღარ არსებობს.

**— და სპორტულ დირექტორს დროგბას, კრიშტიანუ რონალდუს, სესკისა და დიეგოს ტრანსფერებს სთხოვთ...**

— ამაზე ყურადღებას ძალიან ნუ გავამახვილებთ. ეს ფეხბურთელები მომწონს, მაგრამ სატრანსფერო პერსპექტივებს ოდენ კლუბის თავკაცობა წყვეტს. მოკლედ, რაც მოხდება, დროის ამბავია.

**— ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. თან ჩვენთან საუბარში ჩვეულად სიტყვაძუნწი არ ყოფილხართ. იქნებ ასე პრესკონფერენციებზეც მოიქცეთ...**

— რა მნიშვნელობა აქვს სიტყვაძუნწობას, ერთხელ „ვალდებების" საწვრთნელ ბაზაზე „ლე ჯაზირას" კორესპონდენტი მესტუმრა და ისეთი რამეები მითხრა, „ბერნაბეუზე" ერთი დღით ადრე რომ ვილაპარაკე. პორტუში შუსტერი კი „რეალისთვის" დამთავრდა. ამიერიდან „ანხელ ბერნარდო" (ანგელოზი ბერნარდო) ვიქნები.

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 63 | არსენალი-ბირმინგემი | 1.15 | 5.90 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.05 |
| 19:00 | 64 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.45 | 3.80 | 5.90 | 1.04 | 1.16 | 2.31 |
| 19:00 | 67 | დერბი-უიგანი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 68 | ევერტონი-სიტი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 21:15 | 69 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.20 | 5.15 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.50 |
| 19:00 | 70 | მიდლსბრო-ლივერპული | 4.90 | 3.40 | 1.60 | 2.00 | 1.20 | 1.08 |
| 19:00 | 72 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 13 იანვარი | | | | | | | | |
| 20:00 | 65 | ბოლტონი-ბლექბერნი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 17:30 | 71 | სანდერლენდი-პორტსმუთი | 2.70 | 3.15 | 2.35 | 1.45 | 1.25 | 1.34 |
| 14 იანვარი | | | | | | | | |
| 23:45 | 66 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.50 | 3.50 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.16 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 109 | ჰალი-ვესტ ბრომვიჩი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:00 | 110 | იფსვიჩი-სტოკი | 2.10 | 3.15 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.53 |
| 19:00 | 111 | ლესტერი-ქოვენთრი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 112 | პრესტონი-უოტფორდი | 2.90 | 3.15 | 2.20 | 1.50 | 1.25 | 1.29 |
| 19:00 | 113 | შეფილდი-ქპრ | 2.05 | 3.15 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.57 |
| 19:00 | 114 | საუთჰემპტონი-სკანთორპი | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |
| 19:00 | 115 | ბარნსლი-ნორვიჩი | 1.95 | 3.25 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.63 |
| 19:00 | 116 | ვულვერჰემპტონი-კრ. პალასი | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 19:00 | 117 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1.45 | 3.50 | 6.40 | 1.02 | 1.18 | 2.26 |
| 19:00 | 118 | ბარნლი-პლიმუთი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 119 | კარდიფი-უენსდი | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 120 | ჩარლტონი-ბლეკპული | 1.55 | 3.40 | 5.15 | 1.06 | 1.19 | 2.04 |

### ინგლისი. I ლიგა

11 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 175 | ტრანმერი-როვერსი | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 12 იანვარი | | | | | | | | |
| 19:00 | 169 | ლუტონი-სუონსი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 19:00 | 170 | ნორთჰემპტონი-ჰარტლპული | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 171 | ნოტინგემი-ლეიტონი | 1.55 | 3.40 | 5.40 | 1.06 | 1.20 | 2.08 |
| 19:00 | 172 | ოლდემი-ბრაიტონი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 19:00 | 173 | პორტ ვეილი-მილუოლი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 19:00 | 174 | საუთენდი-იოვილი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 176 | ჩელტენემი-ბორნმუთი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 177 | უოლსოლი-სუინდონი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 19:00 | 179 | დონკასტერი-კარლაილი | 1.92 | 3.20 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 180 | ჰადერსფილდი-ჯილინგემი | 1.90 | 3.15 | 3.60 | 1.18 | 1.24 | 1.67 |
| 14 იანვარი | | | | | | | | |
| 23:45 | 178 | ქრიუ-ლიდსი | 3.65 | 3.20 | 1.90 | 1.70 | 1.24 | 1.19 |

### ინგლისი. II ლიგა

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 229 | გრიმსბი-რექსემი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 231 | ლინკოლნი-როტერჰემი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 232 | დონსი-ბარნეტი | 1.35 | 3.90 | 8.40 | 1.00 | 1.16 | 2.66 |
| 19:00 | 233 | მორიკომბი-დაგ ენდ რედი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 234 | პიტერბრო-მაკლსფილდი | 1.40 | 3.80 | 7.40 | 1.02 | 1.17 | 2.51 |
| 19:00 | 235 | უიკომბი-როჩდეილი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 236 | ბრენტფორდი-ჩესტერფილდი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 19:00 | 237 | ჩესტერი-მენსფილდი | 1.62 | 3.30 | 5.00 | 1.08 | 1.22 | 1.98 |
| 19:00 | 238 | დარლინგტონი-ბერი | 1.50 | 3.50 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.19 |
| 19:00 | 239 | სტოკპორტი-აკრინგტონი | 1.92 | 3.20 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 240 | ბრედფორდი-ნოტსი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 13 იანვარი | | | | | | | | |
| 18:00 | 230 | ჰერეფორდი-შრიუსბერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

### ინგლისი. კონფერენსი

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 1060 | სალისბერი-ოქსფორდი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 1092 | ალოა-ბერიკი | 1.50 | 3.70 | 5.20 | 1.06 | 1.16 | 2.16 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 370 | ელგინი-ალბიონი | 2.10 | 3.50 | 2.70 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 19:00 | 371 | ფორფარი-არბროთი | 2.80 | 3.50 | 2.10 | 1.55 | 1.20 | 1.31 |
| 19:00 | 372 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 2.70 | 3.50 | 2.15 | 1.52 | 1.19 | 1.33 |

### იტალია. სერია A

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 384 | ემპოლი-რეჯინა | 1.90 | 2.80 | 4.30 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 23:30 | 390 | კატანია-იუვენტუსი | 4.70 | 3.00 | 1.80 | 1.83 | 1.30 | 1.12 |
| 13 იანვარი | | | | | | | | |
| 18:00 | 382 | ატალანტა-რომა | 4.30 | 2.90 | 1.90 | 1.73 | 1.31 | 1.14 |
| 18:00 | 383 | კალიარი-უდინეზე | 3.25 | 2.80 | 2.30 | 1.50 | 1.34 | 1.26 |
| 18:00 | 385 | ლაციო-ჯენოა | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| 23:30 | 386 | მილანი-ნაპოლი | 1.30 | 4.25 | 8.70 | 1.00 | 1.13 | 2.85 |
| 18:00 | 387 | პარმა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.40 | 1.44 | 1.33 | 1.29 |
| 18:00 | 388 | სამპდორია-პალერმო | 2.30 | 2.80 | 3.25 | 1.26 | 1.34 | 1.50 |
| 18:00 | 389 | სიენა-ინტერი | 7.00 | 3.45 | 1.45 | 2.31 | 1.20 | 1.02 |
| 18:00 | 391 | ტორინო-ლივორნო | 1.80 | 2.85 | 4.20 | 1.10 | 1.25 | 1.69 |

### იტალია. სერია B

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 392 | ფროზინონე-ბრეშა | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 19:00 | 393 | ლეჩე-მესინა | 1.75 | 3.00 | 4.80 | 1.10 | 1.28 | 1.84 |
| 19:00 | 394 | პიაჩენცა-ჩეზენა | 1.60 | 3.10 | 5.90 | 1.05 | 1.25 | 2.03 |
| 19:00 | 395 | რავენა-ვიჩენცა | 2.30 | 2.75 | 3.20 | 1.25 | 1.33 | 1.47 |
| 19:00 | 396 | რიმინი-ალბინოლეფე | 2.30 | 2.80 | 3.10 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 19:00 | 397 | სპეცია-პიზა | 2.80 | 2.75 | 2.55 | 1.38 | 1.33 | 1.32 |
| 19:00 | 398 | ტრევიზო-ტრიესტინა | 2.20 | 2.75 | 3.40 | 1.22 | 1.33 | 1.52 |
| 19:00 | 399 | ასკოლი-მოდენა | 1.80 | 2.85 | 4.80 | 1.10 | 1.30 | 1.78 |
| 19:00 | 400 | აველინო-ბარი | 2.15 | 2.75 | 3.50 | 1.20 | 1.33 | 1.53 |
| 19:00 | 401 | ბოლონია-მანტოვა | 1.80 | 2.75 | 4.00 | 1.08 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 402 | კიევო-გროსეტო | 1.40 | 3.55 | 7.95 | 1.00 | 1.19 | 2.45 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 437 | ბარსელონა-მურსია | 1.12 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.00 |
| 23:45 | 439 | ბილბაო-სევილია | 3.00 | 3.15 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.29 |
| 13 იანვარი | | | | | | | | |
| 20:00 | 431 | ვალიადოლიდი-უელვა | 1.90 | 3.15 | 3.75 | 1.18 | 1.26 | 1.71 |
| 20:00 | 432 | ალმერია-ესპანიოლი | 3.15 | 3.25 | 2.00 | 1.59 | 1.22 | 1.23 |
| 20:00 | 433 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.50 | 3.60 | 5.90 | 1.05 | 1.19 | 2.23 |
| 23:45 | 434 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 22:00 | 435 | ლევანტე-რეალი | 8.40 | 4.40 | 1.30 | 2.88 | 1.12 | 1.00 |
| 20:00 | 436 | სარაგოსა-მალიორკა | 1.90 | 3.25 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 20:00 | 438 | ოსასუნა-რასინგი | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 20:00 | 440 | ბეტისი-ხეტაფე | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

12 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 454 | სერესი-ლას პალმასი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 21:30 | 459 | სოსიედადი-ალავესი | 1.70 | 3.10 | 4.60 | 1.09 | 1.24 | 1.85 |
| 21:30 | 460 | სელტა-სალამანკა | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| 21:30 | 462 | მალაგა -გრანადა | 1.65 | 3.20 | 4.80 | 1.08 | 1.22 | 1.91 |
| 13 იანვარი | | | | | | | | |
| 20:00 | 452 | სევილია ბ-კადისი | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 15:00 | 453 | ჰერკულესი-ელჩე | 2.20 | 3.00 | 3.05 | 1.26 | 1.27 | 1.51 |
| 20:00 | 455 | ალბასეტე-ეხიდო | 2.10 | 3.00 | 3.25 | 1.23 | 1.27 | 1.55 |
| 20:00 | 456 | ნუმანსია-ეიბარი | 1.65 | 3.30 | 4.90 | 1.10 | 1.23 | 1.97 |
| 20:00 | 457 | სპორტინგი-კასტელონი | 1.65 | 3.30 | 4.90 | 1.10 | 1.23 | 1.97 |
| 20:00 | 458 | ფეროლი-კორდობა | 2.30 | 2.90 | 2.95 | 1.28 | 1.29 | 1.46 |
| 20:00 | 461 | ტარაგონა-ტენერიფე | 2.25 | 2.90 | 3.05 | 1.26 | 1.29 | 1.48 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 463 | ბორდო-ოსერი | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 23:00 | 465 | მონაკო-ლორიანი | 1.95 | 2.90 | 4.00 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| 23:00 | 467 | ლილი-მეცი | 1.55 | 3.30 | 6.40 | 1.05 | 1.24 | 2.17 |
| 23:00 | 468 | კაენი-ნანსი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 23:00 | 469 | სტრასბური-ნიცა | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 20:10 | 470 | ვალენსიენი-სტ.ეტიენი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 23:00 | 471 | ლე მანი-სოშო | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 23:00 | 472 | ლიონი-ტულუზი | 1.35 | 3.90 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.67 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 464 | პსჟ-ლანსი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 23:45 | 466 | რენი-მარსელი | 2.50 | 2.80 | 2.80 | 1.32 | 1.32 | 1.39 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 473 | ბულონი-აიაჩო | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 23:00 | 474 | ტრუა-ამიენი | 1.60 | 3.30 | 5.45 | 1.07 | 1.23 | 2.05 |
| 23:00 | 475 | გრენობლი-ანჟე | 2.05 | 2.85 | 3.70 | 1.19 | 1.31 | 1.60 |
| 23:30 | 476 | ნანტი-შატორუ | 1.40 | 3.65 | 7.45 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| 23:00 | 477 | ბასტია-კლერმანი | 2.10 | 2.80 | 3.55 | 1.20 | 1.31 | 1.56 |
| 23:00 | 478 | ნიორი-გენგამი | 2.15 | 2.85 | 3.40 | 1.22 | 1.31 | 1.55 |
| 23:00 | 480 | დიჟონი-მონპელიე | 2.45 | 2.85 | 2.85 | 1.31 | 1.31 | 1.42 |
| 23:00 | 481 | ლიბურნი-რეიმსი | 2.45 | 2.85 | 2.85 | 1.31 | 1.31 | 1.42 |
| 23:00 | 482 | გენიონი-სედანი | 2.75 | 2.75 | 2.60 | 1.37 | 1.33 | 1.33 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 479 | ბრესტი-ლე ავრი | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | **ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 519 | ნაიმეგენი-ტვენტე | 4.30 | 3.35 | 1.75 | 1.88 | 1.24 | 1.14 |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 521 | ბრედა-ვენლო | 1.65 | 3.55 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 22:30 | 522 | როდა-ტილბურგი | 1.30 | 4.70 | 8.45 | 1.01 | 1.12 | 3.02 |
| 22:30 | 523 | გრონინგენი-ექსელსიორი | 1.25 | 4.90 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.28 |
| 23:00 | 524 | ფეიენოორდი-პსვ | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 17:30 | 520 | უტრეხტი-ჰერენვენი | 2.30 | 3.25 | 2.75 | 1.34 | 1.25 | 1.48 |
| 17:30 | 525 | აიაქსი-ალკმაარი | 1.80 | 3.40 | 3.85 | 1.17 | 1.22 | 1.80 |
| 17:30 | 526 | ჰერაკლესი-სპარტა | 2.30 | 3.25 | 2.80 | 1.34 | 1.26 | 1.50 |
| 15:30 | 527 | გრააფსხაპი-ვიტესი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| | | **პორტუგალია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 547 | ფერეირა-მარიტიმუ | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 546 | პორტუ-ბრაგა | 1.35 | 3.80 | 7.30 | 1.00 | 1.13 | 2.49 |
| 23:00 | 551 | ბენფიკა-ლეიშოეში | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:15 | 549 | აკადემიკა-სპორტინგი | 5.30 | 3.30 | 1.60 | 2.03 | 1.22 | 1.07 |
| 23:45 | 550 | ბელენენსეში-ნავალი | 1.75 | 3.10 | 4.60 | 1.11 | 1.26 | 1.85 |
| 20:00 | 552 | ბოავიშტა-ლეირია | 1.60 | 3.30 | 4.50 | 1.07 | 1.18 | 1.90 |
| 20:00 | 553 | ამადორა-ნასიონალი | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:15 | 548 | სეტუბალი-გიმარაეში | 2.00 | 3.10 | 3.15 | 1.21 | 1.22 | 1.56 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 18:45 | 579 | პანიონიოსი-არისი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 21:00 | 580 | აეკ-ვეროია | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 18:45 | 578 | ლევადეიაკოსი-ატრომიტოსი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 17:00 | 581 | კალამარია-ოფი | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 17:00 | 582 | ლარისა-ასტერას ტრიპოლისი | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 18:45 | 583 | პაოკი-ქსანთი | 1.70 | 3.20 | 4.75 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 21:00 | 584 | ერგოტელისი-ირაკლისი | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 21:00 | 585 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 586 | კონია-ბეშიქთაში | 3.15 | 3.15 | 2.05 | 1.57 | 1.24 | 1.24 |
| 21:00 | 588 | რიზე-გალათასარაი | 3.90 | 3.25 | 1.80 | 1.77 | 1.23 | 1.15 |
| 15:30 | 589 | კასიმპასა-გაზიანთეფი | 2.55 | 3.15 | 2.45 | 1.40 | 1.24 | 1.37 |
| 15:30 | 590 | ოფთასპორი-გენჩლერბირლიგი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 15:30 | 587 | ბურსა-დენიზლი | 2.30 | 3.15 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.48 |
| 21:00 | 591 | ფენერბაჰჩე-ისტანბული | 1.25 | 4.80 | 8.90 | 1.00 | 1.09 | 3.11 |
| 15:30 | 592 | მანისა-კაისერი | 2.40 | 3.15 | 2.60 | 1.36 | 1.24 | 1.42 |
| 17:00 | 593 | სივასპორი-ტრაბზონი | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 15:30 | 594 | ანკარაგიუჯიუ-ანკარა | 1.80 | 3.25 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.77 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 16:45 | 1093 | კლაიდი-დანდი იუნაიტედი | 5.30 | 3.50 | 1.50 | 2.10 | 1.16 | 1.04 |
| 19:00 | 1094 | ერდრი-კილმარნოკი | 5.30 | 3.50 | 1.50 | 2.10 | 1.16 | 1.04 |
| 19:00 | 1095 | სელტიკი-სტირლინგი | 1.02 | 8.70 | 26.00 | 1.00 | 1.00 | 6.51 |
| 19:00 | 1096 | ფოლკირკი-აბერდინი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 19:00 | 1097 | სტ.მირენი-დამბარტონი | 1.15 | 5.40 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.72 |
| 19:00 | 1098 | ჰამილტონი-ბრეჩინი | 1.30 | 4.40 | 7.30 | 1.00 | 1.10 | 2.74 |
| 19:00 | 1099 | ჰართსი-მოზერუელი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 1100 | მორტონი-გრეტნა | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 19:00 | 1101 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 1102 | ლივინგსტონი-კოუდენბითი | 1.50 | 3.55 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.12 |
| 19:00 | 1103 | პარტიკი-დანფერმლაინი | 2.35 | 3.40 | 2.40 | 1.38 | 1.18 | 1.40 |
| 19:00 | 1104 | სტ.ჯონსტონი-რეითი | 1.50 | 3.55 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.12 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 1105 | რეინჯერსი-ისტ სტირლინგი | 1.01 | 9.50 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 7.67 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 1081 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1.35 | 3.60 | 5.50 | 1.00 | 1.08 | 2.17 |
| 23:45 | 1082 | მალიორკა-რეალი | 3.30 | 3.30 | 1.80 | 1.64 | 1.16 | 1.16 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 1106 | ბეერსხოტი-ჰევერლე | 1.30 | 4.50 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.79 |
| 23:00 | 1107 | მონსი-გენტი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 23:00 | 1108 | ანდერლეხტი-ვაასლანდი | 1.07 | 7.50 | 14.50 | 1.00 | 1.00 | 4.94 |
| 23:30 | 1109 | კორტრაიკი-ვარეგემი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 1110 | რუზელარე-შარლერუა | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 1112 | სერკლი-ბრიუგე | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 686 | ლინჩიოპინგი-აიკ | 1.40 | 4.20 | 4.60 | 1.04 | 1.07 | 2.19 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 20:30 | 722 | ჰაამეენლინა-იუვესკიულე | 2.75 | 4.00 | 1.80 | 1.62 | 1.08 | 1.24 |
| 20:30 | 723 | ილვესი-ტურკუ | 1.60 | 4.00 | 3.30 | 1.14 | 1.07 | 1.80 |
| 20:30 | 724 | იოკერიტი-ესეტი | 1.15 | 4.50 | 8.40 | 1.00 | 1.01 | 2.93 |
| 20:30 | 725 | კალპა-ესპოო | 3.40 | 4.00 | 1.60 | 1.83 | 1.08 | 1.14 |
| 20:30 | 726 | ლუკო-პელიკანსი | 2.15 | 4.00 | 2.20 | 1.39 | 1.08 | 1.41 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 871 | ინგოლშტადი-იზერლონი | 1.80 | 4.10 | 2.70 | 1.25 | 1.08 | 1.62 |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 866 | ჰანოვერი-სტრაუბინგი | 1.30 | 4.50 | 5.70 | 1.00 | 1.05 | 2.51 |
| 22:30 | 867 | კიოლნი-კრეფელდი | 1.60 | 4.50 | 3.70 | 1.18 | 1.11 | 2.03 |
| 22:30 | 868 | მანჰაიმი-აუგსბურგი | 1.45 | 4.40 | 4.30 | 1.09 | 1.08 | 2.17 |
| 22:30 | 869 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.80 | 4.10 | 1.80 | 1.66 | 1.09 | 1.25 |
| 22:30 | 870 | აისბარენი-ჰამბურგი | 1.45 | 4.50 | 4.20 | 1.09 | 1.07 | 2.17 |
| 22:30 | 872 | დუისბურგი-დიუსელდორფი | 2.70 | 4.10 | 1.80 | 1.62 | 1.08 | 1.25 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ევროლიგა** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 1118 | პროკომი-ვ.ბოლონია | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 22:45 | 1119 | მაკაბი-უნიკახა | 1.45 | 12.00 | 2.45 | 1.29 | 1.00 | 2.03 |
| 23:30 | 1120 | ოლიმპიაკოსი-ცსკა | 1.95 | 12.00 | 1.75 | 1.67 | 1.00 | 1.52 |
| 23:30 | 1121 | ლე მანი-ეფესი | 3.50 | 12.00 | 1.20 | 2.70 | 1.00 | 1.09 |
| 23:45 | 1122 | ოლიმპია-ჟალგირისი | 1.95 | 12.00 | 1.75 | 1.67 | 1.00 | 1.52 |
| 23:45 | 1123 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.65 | 12.00 | 2.00 | 1.45 | 1.00 | 1.71 |
| 23:45 | 1124 | პარტიზანი-რეალი | 2.50 | 12.00 | 1.45 | 2.06 | 1.00 | 1.29 |

# ჰიუიტი ოზურად ჩაიწვა
## საფინმა მელბურნ-პარკს კუიონგიდან გახედა

სულ რაღაც სამიოდ დღეში ავსტრალიის ღია პირველობა იწყება და მთელმა საჩოგბურთო სამყარომაც თავი მწვანე კონტინენტზე მოიყარა. მეჩოგნეები იქაურ პირობებს ეგუებიან და სპარინგებითა თუ წვრილ ტურნირებზე მონაწილეობით ცდილობდნენ, წლის პირველი სლემტურნირისთვის ფორმაში შევიდნენ. ჩვენც თვალი გადავავლოთ, თუ ვინ როგორ ახერხებს ამას, მით უმეტეს რომ მოულოდნელობები ამ ტურნირებზე უკვე ბლომად ვიხილეთ


კრის გუჩიონემ ავსტრალიას ლეიტონ ჰიუიტი დაავიწყა

**კაცები**
**ოკლენდი. ახალი ზელანდია. ჰარდი**
**საპრიზო 464 000 დოლარი**

**მეორე წრე**

**დავიდ ფერერი** (1, ესპანეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:1 7:6; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ნიკოლას ალმაგრო (6, ესპანეთი) 6:4 2:6 6:2; **ხუან-კარლოს ფერერო** (4, ესპანეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:3 7:6; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4 6:4; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ალბერტ მონტანესი (8, ესპანეთი) 6:3 6:4; **ხუან მონაკო** (3, არგენტინა) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი** (7, გერმანია) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 6:4 6:7 6:4; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ხუან-იგნასიო ჩელა (2, არგენტინა) 6:3 7:6

ჯერჯერობით მშვენიერ ფორმაშია გასული წლის ერთ-ერთი აღმოჩენა დავიდ ფერერი, რაც პირინელმა ოკლენდში ხერიანი ჩოგნაობით დაამტკიცა. წვიმის გამო ესპანელის პირველი წრის მატჩი გადაიდო, რის გამოც გუშინ დავიდს ორი შეხვედრის გამართვა მოუწია. თუმც ფერერი ამას არ შეუშინდა და ჯერ თანამემამულე ოსკარ ერნანდესი, შემდეგ კი სერხიო როიტმანი ერთმანეთზე მიაწვინა, თან ამას მთლიანობაში ორ საათზე ოდნავ მეტი მოანდომა.

სამაგიეროდ, მაორთა მიწიდან დაიფრინეს მეორე ნომერი ხუან-იგნასიო ჩელა, რომელსაც ფლორიან მაიერმა სეტიც არ აალებინა. ახლა მეოთხედფინალში გერმანული დერბი შედგება — მაიერი ფილიპ კოლშრაიბერთან გაარკვევს ურთიერთობას.

**კაცები**
**სიდნეი. ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 465 000 დოლარი**

**მეორე წრე**

**დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — რიშარ გასკე (1, საფრანგეთი) 3:6 6:3 6:4; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ფერნანდო ვერდასკო (8, ესპანეთი) 6:3 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — სტივ დარსისი (ბელგია) 6:1 6:3; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:2 6:3; **კრის გუჩიონე** (ავსტრალია) — ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) 7:6 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (4, ჩეხეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:6 6:2; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 6:3 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 7:5 2:6 6:4

აი, სიდნეიში კი ტურნირის ორი უმთავრესი ფავორიტი დაიფრინეს. ჯერ იყო და პირველი ნომერი რიშარ გასკე დმიტრი ტურსუნოვმა დაჯაბნა, რის შემდეგაც ლეიტონ ჰიუიტი თანამემამულე კრის გუჩიონემ შეარცხვინა.

განსაკუთრებით მოულოდნელი მაინც ჰიუიტის წაგება იყო — ოზმა ბიჭმა ხომ დამდეგი სლემტურნირის წინ ომახიანად განაცხადა, წლეულს ჩემი ოცნების ასრულების დრო მოვიდა და ჩემი მაყურებლის წინ უნდა გავიმარჯვოო. ჰოდა, ლეიტონს რეპუტაცია წარუმატებელი გამოუვიდა — დიდ ავსტრალიურ პრიზს ვინ ჩივის, ჰიუიტი აგერ მცირე ოზურ ტიტულსაც ვერ შესწვდა. არადა, სიდნეიში აქამდე ოთხჯერ ეჩემპიონა. მაგრამ გუჩიონემ აიღო და თავისი დაუნდობელი ცაციათი 23-ჯერ ჩააეისა, რასაც ჰიუიტმა ხეირიანი ვერაფერი დაუპირისპირა.

გასკეს კი, ეტყობა, ავსტრალიური ჰავა არ ესიამოვნა, რადგანაც ნამატჩევს ამბობდა, მეორე სეტში ისე დამცხა, ჩოგნაობას ვინ ჩივის, კორტიდან სწრაფად გაქცევა მინდოდაო. ასეთი მიდგომით კი ფრანგს „მელბურნ-პარკზე" კარგი არაფერი მოელის.

**კაცები**
**კუიონგ კლასიკი**
**მელბურნი. ავსტრალია. ჰარდი**

**მეოთხედფინალი**

**მარატ საფინი** (რუსეთი) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 6:1 6:4; **ენდი როდიკი** (აშშ) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:3 6:0; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:4 4:6 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — ბრაიდან კლაინი (ავსტრალია) 7:6 6:4

„კუიონგ კლასიკი" ოფიციალური ტურნირი არ არის და მხოლოდ საჩვენებელ ხასიათს ატარებს, მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება ამ კვირაში სწორედ აქეთკენ არის მიპყრობილი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვეულებისამებრ, აქ ისევ სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა. ისე, შეიძლებოდა ტურნირზე უფრო მეტი ბობოლაც გვეხილა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო აქ თამაშზე უარი თქვეს როჯერ ფედერერმა, დავიდ ნალბანდიანმა და ტომი ჰაასმა.

ამის მიუხედავად, მეოთხედფინალური მატჩები მაინც ფრიად საინტერესო გამოდგა. ყველაზე მოულოდნელი ანგარიში კი მარატ საფინისა და ენდი მიურეის შეხვედრაში დაფიქსირდა, სადაც რუსი ძალიან იოლად და დამაჯერებლად გაუმკლავდა ახალგაზრდა სქოთს. ეტყობა, ბოლო წლებში არასტაბილური საფინი ავსტრალიის ღია პირველობას მშვენიერ ფორმაში ხვდება და მიურეისთან მისი თამაშის მნახველებმა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსი „მელბრუნ-პარკზე" ისევ გოროზი ძალა იქნება.

საფინს წინ ენდი როდიკი ელოდება, რომელმაც იოლად გადაუარა ივან ლიუბიჩიჩს. მეორე ნახევარფინალში კი ერთმანეთს ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელი და შარშანწინდელი ფინალისტები — ფერნანდო გონსალესი და მარკოს ბაღდატისი დაეტაკებიან.

**ქალები**
**სიდნეი. ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:2 6:0; **ანა ივანოვიჩი** (4, სერბეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:3 3:6 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (6, ჩეხეთი) — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 4:6 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — ფრანჩესკა შიავონე (იტალია) 6:4 6:0

სიდნეის მეორეხარისხოვან ქალთა ტურნირზე ისეთი ნახევარფინალური წყვილები შედგა, რომელსაც არც ერთი სლემტურნირი არ ითაკილებდა. ერთში მსოფლიოს უეჭველი პირველი ჩოგანი ჟუსტინ ენინი გასული სეზონის მთავარ სიურპრიზ ანა ივანოვიჩს დაეჯახება, მეორეში კი ახალგაზრდა ნიკოლ ვაიდიშოვა სვეტლანა კუზნეცოვას დამარცხებას ეცდება.

ნახევარფინალისკენ კი მეჩოგნეებმა სხვადასხვა სირთულის გზები გაიარეს. ყველაზე იოლად, რა თქმა უნდა, ენინმა იარა, რომელმაც 50 წუთში მოუთავა საქმე კაია კანეპის და კიდევ ერთხელ დაგვაჯერა, რომ სლემტურნირს დიდებულ ფორმაში ხვდება. არცთუ ურიგოდ გაისარჯა კუზნეცოვაც, რომელსაც შიავონემ მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა.

აი, ივანოვიჩსა და ვაიდიშოვას კი მაგრად გაუჭირდათ. განსაკუთრებით მაინც ახალგაზრდა ჩეხს, თუმც ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგანაც ის მსოფლიოს მესამე ჩოგან ელენა იანკოვიჩს ხვდებოდა. მეჩოგნეებმა კარგა ხანს იჭიდავეს, მაგრამ ვაიდიშოვას ბოლოსკენ მეტი ძალა შერჩა და ამიტომაც იხეირა.

ივანოვიჩის მცირედი წაფორხილება კი მოულოდნელი იყო, რადგანაც სერბი ლამაზმანი არცთუ ძლიერ კატარინა სრებოტნიკს ეთამაშებოდა. აქ ანას მეორე სეტში უბრალოდ „ჩაეძინა" და პარტია ამიტომაც დათმო, მაგრამ თავისდა საბედნიეროდ, დროულად გამოფხიზლდა და ენინთან რანდევუც გაინაღდა.

**ქალები**
**ჰობარტი. ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 170 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

**ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ალისი დელაკუა (კანადა) 6:4 7:5; **ფლავია პენეტა** (იტალია) — სანია მირზა (6, ინდოეთი) 7:5 1:6 6:3; **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:4 6:4; **ვერა ზვონარევა** (2, რუსეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:3 6:3

ჰობარტში განთესილებს თავიდანვე დაერივნენ და შედეგად ნახევარფინალში მხოლოდ ვერა ზვონარევაღა შემორჩა ისეთი, თავიდანვე ფავორიტთა შორის რომ მოიხსენიებოდა.

პირველი ნომერი ალიონა ბონდარენკო აქ პირველივე წრეში დაიფრინეს. გუშინ კი უკრაინელის გზას კიდევ ერთი განთესილი სანია მირზა მიაყოლეს, რომელმაც ფლავია პენეტასთან ვერაფერი გააწყო.

ასე რომ, ზვონარევას სეზონის მაჟორულ ნოტაზე დაწყების მშვენიერი შანსი აქვს — ის ხომ ყველა შემორჩენილ მეჩოგნეს ერთი თავით აღემატება.

**კახა ლომაშვილი**


ანა ივანოვიჩი ოზეთშიც ლამაზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთავში რუსთავი იციან

## წელი ჩემპიონების მემორიალით გაიხსნება

საახალწლო შესვენების შემდეგ საკალათბურთო სეზონი 15 იანვარს რუსთავში განახლდება. სანამ სუპერლიგა გახურდებოდეს, გუნდები კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მემორიალურ ტურნირში მოითელებიან.

ოლიმპიური ჩემპიონების, მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის ხსოვნის ტურნირი ტრადიციულია და წლეულს მესამედ გაიმართება. შარშან გამარჯვებული რუსთავის „ენერჯი-ინვესტი" გახდა და წლეულსაც ეს გუნდი იქნება მთავარი ფავორიტი: ქორქია-საკანდელიძის ტურნირს რუსთავი უმასპინძლებს და საეჭვოა, „ენერჯი-ინვესტმა" შინიდან თასი ვინმეს გაატანოს.

**ირაკლი პერტაია**

### ქორქია-საკანდელიძის მემორიალის განრიგი

A ჯგუფი

ენერჯი ინვესტი
მაკაბი
ვითა

B ჯგუფი

თბილავიამშენი
თსუ
დინამო

**15 იანვარი**

თსუ — დინამო 14:00
ენერჯი ინვესტი — მაკაბი 16.00

**16 იანვარი**

თბილავიამშენი — დინამო 14:00
ვითა — მაკაბი 16:00

**17 იანვარი**

თბილავიამშენი — თსუ 14:00
ენერჯი ინვესტი — ვითა 16:00

**18 იანვარი**

ფინალი: A ჯგუფის გამარჯვებული და B ჯგუფის გამარჯვებული (15:00)



ბექა [illegible] ფოტო

# უოფლო პლეი ოფი

## მარკოიშვილის კიევმა შორს გაიხედა

მანუჩარ მარკოიშვილმა საშობაახალწლოდ კარგი საჩუქარი მიიღო. მისი გუნდი ულებ-ის თასის ჯგუფიდან გავიდა და ტიტულისთვის ბრძოლას პლეი ოფში გააგრძელებს.

მართალია, ჯგუფური ეტაპი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ „ბკ კიევი" აქამდელ მატჩებში ისე ყოჩაღობდა, რომ თავი უკვე პლეი ოფში დაიგულა. უკრაინულმა გუნდმა გუშინწინ ფრანგულ პოში მოიპოვა მორიგი გამარჯვება, რაშიც არცთუ მოკრძალებული წვლილი მანუჩარ მარკოიშვილსაც მიუძღვის.

ის კი არა, თამაშის ბოლოს, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, მარკოიშვილმა და ჯეფრი ჯეტერმა გამოიდეს თავი, რის შემდეგაც „პო ორტეზმა" წინააღმდეგობა შეწყვიტა და კიეველებმა საბოლოოდ 10 ქულით, 73:63 გაიმარჯვეს.

მანუჩარმა 24 წუთი ითამაშა და 11 ქულასთან ერთად, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. მასზე მეტი კიეველთაგან მხოლოდ რაიან სტაკმა მოინაგრა — 18 ქულა.

„საკმაოდ რთული თამაში იყო — განაცხადა კიეველების სლოვენიელმა დამრიგებელმა ტომო მაჰორიჩმა — 2 კვირაა, უქმად ვიყავით და, რა თქმა უნდა, მობილიზება რთული იყო. განსაკუთრებით კარგად მეორე და ბოლო მეოთხედში ვითამაშეთ, რის ხარჯზეც საბოლოოდ გავიმარჯვეთ კიდეც".

კიეველებმა პლეი ოფის საგზური კი გაინაღდეს, მაგრამ დარჩენილ 4 ტურში არანაკლები მონდომება მართებთ, რათა ჯგუფში შეძლებისდაგვარად მაღალი ადგილი დაიკავონ და პლეი ოფში შედარებით სუსტი მეტოქე ირგუნონ.

**ირაკლი პერტაია**

### ულებ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი მერვე ტური. 8 იანვარი

**A ჯგუფი**

ტელეკომი (თურქეთი) 96:94 ხუვენტუდი (ესპანეთი)
ბოსნა (ბოსნია) — შაულიაი (ლიტვა)
*გუშინ გვიან დამთავრდა*
გილფორდი (დიდი ბრიტანეთი) 71:80 ალბა (გერმანია)
ხუვენტუდი 15, ტელეკომი 15, ალბა 12, შაულიაი 10, ბოსნა 9, გილფორდი 8

**B ჯგუფი**

ბეშიქთაში (თურქეთი) 77:76 FMP (სერბეთი)
კიოლნი (გერმანია) 84:76 ვენტსპილსი (ლატვია)
შალონი (საფრანგეთი) 88:68 ოვარენშე (პორტუგალია)
ბეშიქთაში 16, ვენტსპილსი 13, კიოლნი 13, შალონი 12, აძზ 10, ოვარენშე 8

**C ჯგუფი**

ასოფტი (რუმინეთი) 72:83 ჰემოფარმი (სერბეთი)
ჰანზევასტი (ჰოლანდია) 91:105 ხირონა (ესპანეთი)
შარლერუა (ბელგია) 64:62 გალათასარაი (თურქეთი)
ხირონა 14, ჰემოფარმი 14, გალათასარაი 13, ასოფტი 11, შარლერუა 11, ჰანზევასტი 9

**D ჯგუფი**

აზოვმაში (უკრაინა) 76:62 ნანსი (საფრანგეთი)
სკაილაინერსი (გერმანია) 67:72 ხიმკი (რუსეთი)
ანვილი (პოლონეთი) 77:70 პამესა (ესპანეთი)
ხიმკი 15, პამესა 14, აზოვმაში 13, ნანსი 11, ანვილი 11, სკაილაინერსი 8

**E ჯგუფი**

ტრიუმფი (რუსეთი) 78:73 სვანსი (შვედეთი)
ანტვერპენი (ბელგია) 78:77 ელიონი (ისრაელი)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) 74:63 ფრაიბურგი (გერმანია)
ტრიუმფი 15, ბუდუჩნოსტი 14, სვანსი 12, ანტვერპენი 11, ფრაიბურგი 11, ელიონი 9

**F ჯგუფი**

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 98:104 დინამო (რუსეთი)
პანელინიოსი (საბერძნეთი) 77:86 ნიმბრუკი (ავსტრია)
ოსტენდე (ბელგია) 62:60 ბოლონია (იტალია)
დინამო 14, ნიმბრუკი 13, ცრვენა ზვეზდა 13, ოსტენდე 12, ბოლონია 11, პანელინიოსი 9

**G ჯგუფი**

ლუდვიგსბურგი (გერმანია) 81:70 შლიონსკი (პოლონეთი)
ასველი (საფრანგეთი) 87:89 პანიონიოსი (საბერძნეთი)
კანარია (ესპანეთი) 80:75 კალევი (ესტონეთი)
კანარია 14, ასველი 13, პანიონიოსი 13, შლიონსკი 12, კალევი 11, ლუდვიგსბურგი 9

**H ჯგუფი**

აკადემიკი (ბულგარეთი) 90:93 ბენეტონი (იტალია)
ასკ (ლატვია) 70:60 არტლენდი (დიდი ბრიტანეთი)
პო ორტეზე (საფრანგეთი) 63:73 ბკ კიევი (უკრაინა)
ბკ კიევი: მარკოიშვილი (24 წუთი, 11 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი)
ბკ კიევი 14, ბენეტონი 13, აკადემიკი 13, არტლენდი 12, ასკ 11, პო ორტეზი 9

**I ჯგუფი**

უნიკსი (რუსეთი) 98:45 ჰაპოელი (ისრაელი)
ზადარი (ხორვატია) 84:65 ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია)
სტრასბური (საფრანგეთი) 61:64 ტუროვი (პოლონეთი)
ტუროვი 15, ყაზანი 12, ზადარი 12, ჰაპოელი 12, სტრასბური 11, ეიფელ თაუერსი 10



# ბოლო შეკრება ფინალის წინ

## სახელბურთო საზოგადოება საზოგადოებრივის იმედადაა

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები 20 იანვრის „ჩელენჯ-ტროფის" ფინალური მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. წინასწარი გეგმით, დასკვნითი ორკვირიანი შეკრება თელავში უნდა გამართულიყო, თუმცა იმის გამო, რომ ფედერაციას ფინანსური პრობლემები აქვს, ეს შეკრება ჩაიშალა. გუნდი ამჟამად „სკას" დარბაზში 18-კაციანი შემადგენლობით ვარჯიშობს.

ლეგიონერთაგან გამოძახებულები არიან: ვლადიმერ რუსია („დინამო", რუმინეთი), რევაზ ჭანტურია („მეტალურგი", მაკედონია), რატი მსხვილიძე („სტიარნანი", ისლანდია), სერგო დათუკაშვილი („ლიუბეკი", გერმანია) და გერმანიის მე-4 ლიგაში მოთამაშე არჩილ გარიშვილი, რომელიც თბილისიდან ახლახან წავიდა და ნაკრებს პირდაპირ ნორვეგიაში შეუერთდება. ამჟამად ბიჭებთან ერთადაა რატი მსხვილიძე, დანარჩენებს კი 12 იანვრამდე ელოდებიან და ნაკრებიც სრულად, სწორედ ამ დროისთვის მოიყრის თავს. ამ დღეებშივე ჩამოვა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი დათუკაშვილი, ვინც ბუნდესლიგის პირველი წრე მოილია და მე-19 ტურის მერე გასავარდნ ზონაშია თავის „ლიუბეკთან" ერთად. ბოლო ტურში ჩვენებურის გუნდმა კინკილა ქულით, 31:30 მოუგო „ნორდჰორნს" და ქართველი 6 გოლით გამოირჩა. ახლა სერგო ბომბარდირთა დავაში მე-9 ადგილზეა და საუკეთესო კონრად ვილჩინსკის 15 გოლით ჩამორჩება. აქვე გეტყვით, რომ ლუქსემბურგთან ფინალურ დაპირისპირებას ნორვეგიის ქალაქი დრამენი უმასპინძლებს და მატჩი მათივე დროით 3 საათზე დაიწყება. ფედერაციას სურს, თამაში ქა-



ბექა [illegible] ფოტო

რთველმა ქომაგებმაც იხილონ და საამისოდ გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა. ახლა კომპანია „ინფრონტ სპორტ ენ მედიდან", რომელიც ჩემპიონთა ლიგის და ევროპის ჩემპიონატის სატრანსლაციო უფლებებს ფლობს, ფაქსს ელოდებიან. მათ კონტრაქტის პირობები უნდა გამოგზავნონ. სავარაუდოდ, მატჩს „საზოგადოებრივი მაუწყებელი" აჩვენებს. ჩვენი თამაშის გარდა, ევროპის ჩემპიონატის ფინალის ნახვის საშუალებაც გვექნება. თუმცა ევროფინალი თბილისის საერთაშორისო ტურნირს ემთხვევა ძიუდოში და ამ თამაშს ჩანაწერის სახით ვიხილავთ. ასე რომ, ქართველ ქომაგს ნაკრების გულშემატკივრობა შეუძლია, ახლა მთავარია, გუნდი კარგად მოემზადოს, საუკეთესო თოთხმეტეული შეირჩეს და ნორვეგიაში აუცილებლად მოსაგებად გაემგზავროს.

**ლექსო მაისურაძე**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# გამოანათა

## მაიკლ ჯორდანი ხალხში გაერია



„შარლოტის“ მწვრთნელობაზე უარი რომ უთხრეს, მას შემდეგ თითქოს გაიბუტაო, მაიკლ ჯორდანი თითქმის აღარ ჩნდება ხალხში. კლუბ „შარლოტ ბობქეთსის“ სხვა მფლობელებმა თანამფლობელი ჯორდანის სურვილს ანგარიში არ გაუწიეს და „ფოცხვერები“ სულ სხვას ჩააბარეს.

სანთლით საძებარი გახდა ეს დიდი კაცი. ახლა „შარლოტი“ „ნიუ ჯერსის“ რომ მასპინძლობდა, „მისმა უპაეროვნესობამ“ როგორლაც მოისურვა და ჩრდილიდან მზესავით გამოანათა. მისი ხილვით გაბედნიერებულმა „ფოცხვერებმა“ კი ერთიორად მოინდომეს, სეზონში უბევრესი 115 ქულა მოიხვეჭეს და „ნიუ ჯერსის“ ზედიზედ მოგებათა ხუთმატჩიანი სერია გააწყვეტინეს, მის ლიდერ ჯეისონ კიდს კი სამმაგი დუბლი გაუხუნეს.

მთლად პრესკონფერენცია არ გაუმართავს, მოდით და სურათები გადამიღეთო, ჯორდანმა მხოლოდ გასახდელში შეუარა მოთამაშეებს, მანამდე კი მწვრთნელ სემ ვინსენტს გამოელაპარაკა, ალბათ, რამე რჩევა თუ მისცა.

„მისი გვერდით ყოფნა ჩვენზე დადებითად მოქმედებს. ის კალათბურთის შემადგენელი ნაწილია, ის თვითონ კალათბურთია და ყოველთვის გვშველის მისი ახლო ყოფნის შეგრძნება — ჯორდანზე თვალებანთებული საუბრობს „შარლოტის“ ერთ-ერთი ლიდერი რაიმონდ ფელტონი — და როცა ჩვენ ვიგებთ, ის მუდამ ბედნიერია. ახლა მოვიდა და გვითხრა: „კარგად იმუშავეთ, ასე გააგრძელეთ.“

თავისთავად ცხადია, „შარლოტისთვის“ ეს გამარჯვება მხოლოდ ერთი რიგითია და ბევრსაც არაფერს შველის. ეს გუნდი აღმოსავლეთში მხოლოდ „ნიუ იორკს“ და „მაიამის“ უსწრებს და რაკი მალე გასვლითი მატჩების სერია ეწყება, იმის არცთუ დიდი შანსი აქვს, რომ ცხრილში წინ წაიწიოს, მაგრამ პატარა გუნდებს ხომ ცოტაც ჰყოფნით ბედნიერებისთვის.

უშაკილონილო „მაიამიმ“ კი ისევ წააგო და ზედიზედ მარცხების რიცხვი რვამდე გაზარდა. თან წააგო ლიგის უცუდეს გუნდ „მინესოტასთან“, რომელსაც ბოლო გამარჯვება ახალი წლის დადგომამდე კარგახნით ადრე მოეპოვებინა. ექსჩემპიონებს ვერც დუეინ ვეიდმა უშველა, ვინც 25 ქულა და 7 პასი სულ ტყუილად აკეთა. 2006 წელს ჩემპიონები რომ გახდნენ და დიდების ოკეანეში ბანაობდნენ, ფლორიდელები მაშინ, ალბათ, მედუზებმა დასუსხეს და ახლა ამიტომ თუ არიან ასე მონუსხულები.

„მაიამისგან“ განსხვავებით, აღმოსავლეთის მეორე ბედოვლათმა „ნიუ იორკმა“ როგორლაც გამარჯვება შეძლო და წლეულს პირველად გაიხარა, მაგრამ ეს, ალბათ, მაინც ვერ იხსნის „ნიქსის“ თავკაც აიზია ტომასს. ლეგენდარულ მოთამაშეს, მაგრამ მწვრთნელობაში შერცხვენილ აიზიას პრეტენზიული ნიუორკელი ქომაგები ყველა ხელსაყრელი შემთხვევისას უსტვენენ და ტრანსპარანტებით მის გაშვებას ითხოვენ. მას თავისთავად ერჩივნა, „ნიუ იორკს“ შინ მოეგო და ოდნავ მაინც დაეშმვიდებინა აზვირთებული თანები, მაგრამ ამ გაჭირვებაში „ჩიკაგოს“ ჩიკაგოშივე ძლევაც საქმეა. ამ უკანასკნელს კი უჭირს და, მერე როგორ უჭირს...

სამაგიეროდ მოლხენითაა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“. მისი ლიდერი კობი ბრაიანტი ლიგის ბომბარდირთა შორის 26,7 ქულით „მხოლოდ“ მესამეა, მაგრამ მთლიანად გუნდი მოგებათა სოლიდური მარაგით დასავლეთში საპატიო მეექვსე ადგილს პყრობს. სამშაბათს „ლეიკერსმა“ მემფისში იმარჯვა, სადაც კობი ბრაიანტმა „სულ რაღაც“ 25 ქულა გააკეთა და გუნდში პირველი მექულის წოდება ვეტერან დერეკ ფიშერს დაუთმო. ფიშერი მართლაც საუკეთესო იყო: თამაშიდან 11-ჯერ ესროლა და 10 ჩააგდო. ნამატჩევს ის კობიმაც აქო, ის ერთიც იმიტომ ჩაეთვალა აცილებაში, რომ ენდრიუ ბინამს კალათთან ჩასატენად შეუგდო ბურთი და ამან ვერ დაიჭირა, თორე მაგან ათიდან ათი ჩააგდოო. თვენ ის დავძინოთ: ამ ათიდან ხუთი სამქულიანი იყო.

**კოტე ყორშია**


დერეკ ფიშერი

8 იანვარი

**მემფისი 101:117 ლეიკერსი**

მემფისი: მილერი (19), გასოლი (18 ქულა, 12 მოხსნა), გაი (15), უორიკი (15)

ლეიკერსი: ფიშერი (26), ბრაიანტი (25), ფარმარი (13)

**შარლოტი 115:99 ნიუ ჯერსი**

შარლოტი: რიჩარდსონი (25), ვოლესი (21 ქულა, 11 მოხსნა), ფელტონი (17), მუჰამედი (17)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (21), კარტერი (17), ნახბარი (14), კიდი (13 ქულა, 12 პასი, 11 მოხსნა)

**კლივლენდი 95:79 სიეტლი**

კლივლენდი: ჯეიმსი (22), გიბსონი (17), ვარეჟაო (14)

სიეტლი: დურანტი (24), შჩერბიაკი (14)

**ვაშინგტონი 84:92 ჰიუსტონი**

ვაშინგტონი: ჯემისონი (14), ბატლერი (13), იანგი (13)

ჰიუსტონი: ჰედი (24), მინი (21), ალსტონი (15 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

**მინესოტა 101:91 მაიამი**

მინესოტა: მაკკანტსი (27), ჯეფერსონი (18 ქულა, 10 მოხსნა), იარიჩი (17)

მაიამი: ვეიდი (25), ჰასლემი (15)

**იუტა 111:89 ინდიანა**

იუტა: ბუზერი (22), ჰარპრინგი (16)

ინდიანა: გრეინჯერი (17), ტინსლი (13)

**ფილადელფია 83:87 მილუოკი**

ფილადელფია: იგუდალა (21), დალამბერტი (16 ქულა, 16 მოხსნა)

მილუოკი: უილიამსი (21), ბელი (21), ვილანუევა (15 ქულა, 12 მოხსნა)

**ჩიკაგო 100:105 ნიუ იორკი**

ჩიკაგო: სმიტი (22 ქულა, 12 მოხსნა), გორდონი (21), ჰაინრიხი (20)

ნიუ იორკი: კარი (29), კროუფორდი (24), მარბერი (18)

**საკრამენტო 104:100 ორლანდო**

საკრამენტო: სალმონსი (21), მილერი (20), უდრიჰი (17)

ორლანდო: ჰოვარდი (29 ქულა, 15 მოხსნა), ლუისი (22)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 29 | 3 | 90,6 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 17 | 50,0 |
| ტორონტო | 17 | 17 | 50,0 |
| ფილადელფია | 14 | 21 | 40,0 |
| ნიუ იორკი | 9 | 24 | 27,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 26 | 8 | 76,5 |
| კლივლენდი | 18 | 17 | 51,4 |
| ინდიანა | 16 | 20 | 44,4 |
| მილუოკი | 14 | 20 | 41,2 |
| ჩიკაგო | 13 | 20 | 39,4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 22 | 14 | 61,1 |
| ვაშინგტონი | 17 | 16 | 51,5 |
| ატლანტა | 15 | 16 | 50,0 |
| შარლოტი | 12 | 21 | 36,4 |
| მაიამი | 8 | 27 | 22,9 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 23 | 10 | 69,7 |
| დალასი | 23 | 11 | 67,6 |
| ნიუ ორლეანი | 23 | 11 | 67,6 |
| ჰიუსტონი | 18 | 17 | 51,4 |
| მემფისი | 10 | 24 | 29,4 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| პორტლენდი | 21 | 13 | 61,8 |
| დენვერი | 21 | 13 | 61,8 |
| იუტა | 19 | 17 | 52,8 |
| სიეტლი | 9 | 25 | 26,5 |
| მინესოტა | 5 | 29 | 14,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 24 | 10 | 70,6 |
| ლეიკერსი | 22 | 11 | 66,7 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 15 | 57,1 |
| საკრამენტო | 13 | 20 | 39,4 |
| კლიპერსი | 10 | 21 | 32,3 |

NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA



# გიშერი თოვლში

## ფინაჩ ფინელებს ნბა-ს ლეგენდა წაეთამაშა

**სკოტი პიპენმა** 9 ქულა და 9 მოხსნა გააკეთა და „ტორპან პოიატს“ „ჰონკას“ ძლევაში დაეხმარა — იტყობინება „ესოუშიეიტედ პრესი“.

რა უნდოდა 90-იანი წლების ნბას ლეგენდას ფინეთში, ამას არავინ ამბობს, ყოველ შემთხვევაში, ის იქ კალათბურთის სათამაშოდ ნამდვილად არ ჩავიდოდა. ჭკუასთან ის უფრო ახლოს უნდა იყოს, რომ საკუთარი სიამოვნებისთვის მოგზაურობს ათასი ტბის ქვეყანაში და ფინეთის საუკეთესო გუნდის თხოვნას, ჩვენთან წაითამაშეო, თავაზიანად დათანხმდა.

„ძალიან სახალისო იყო. სამი წელია, კალათბურთი არ მითამაშია და, ბუნებრივია, მთლად საბრძოლო კონდიციაში არ ვარ, მაგრამ კარგ გუნდში თამაში მაინც სიამოვნებაა“ — ამბობს 42 წლის პიპენი. სხვათა შორის, ეს მისი მეორე თამაში ყოფილა ფინეთში. რამდენიმე დღის წინ „პორვოოსთვის“ 12 ქულა ჩაუგდია.

„ამ გუნდში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა და მათ გვერდით ცოტა ხნით მეც ახალგაზრდად ვიგრძენი თავი.“

პიპენი დიდხანს არ შეყოვნდება ფინეთში და ამ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლასაც ნამდვილად არ აპირებს. „ტორპან პოიატი“ მის გარეშეც რიგიანი გუნდი უნდა იყოს, რაკი ზედიზედ 19 თამაში აქვს მოგებული. სკოტი კი, ალბათ, მთელი სკანდინავიის შემოვლას აპირებს. ამ კვირაში ის ბოტნიის ყურეს გადაჭრის და იქვე მეზობელ შვედეთში გადავა, სადაც ასევე გაშლის ხელ-ფეხს და „სუნდსვალის“ მაისურით ახლა შვედურ ლიგას დაავემოვნებს.

# რაიდერს სამარე გაასწორებს

**კალიფორნიის** შტატის ქალაქ ბერკლის პოლიციამ დააკავა ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავი აიზია რაიდერი. პატრულმა ქუჩაში დაინახა, რომ ტაქსის მძღოლს გაცხარებული ჩხუბი ჰქონდა ვიღაც ახმახ ზანგთან. ეს ზანგი, რომელმაც ის ტაქსისტიც ცემა და პოლიციასაც წინააღმდეგობა გაუწია, დაკავების და განყოფილებაში მიყვანის შემდეგ ცნობილი სპორტსმენი აღმოჩნდა.

რაიდერს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ნასამართლეობის გრძელი სია აქვს და ამ სიის განახლებას გულმოდგინედ ცდილობს ხოლმე. კაცი არ მოუკლავს, მაგრამ წვრილმანი ხულიგნობები, ჩხუბი, აყალმაყალი, მარიხუანის მოწევა-ტარება, და მისთანები არ მოჰკლებია. ციხეში არ ამწყვდევენ დიდწილად იმის გამოც, რომ თავის დროზე ვარსკვლავი იყო. მეორეს მხრივ, ის იმდენად ნიჭიერი გახლდათ, ცოტა მშვიდი ბუნების რომ ყოფილიყო, ყველა ვარსკვლავის შეხვედრაშიც კი უხმობდნენ. ნბა-ში ის 1993-2002 წლებში თამაშობდა და 31 წლისამ კარიერა იმიტომ დაამთავრა, რომ უბრალოდ, არც ერთი გუნდს არ სურდა ასეთი გადარეული თავისთან ჰყოლოდა.

**კოტე ყორშია**

# სამჯერ სამი ოთხჯერ ორზე მეტია

## ნაკრებმა შეკრება დაიწყო და პეკინს გახედა



ბადრი კეთილაძის ფოტო

**8 იანვარს** საქართველოს მოკრივეთა ნაკრები უკრაინაში მოსამზადებელ შეკრებაზე წავიდა. წლევანდელი წელი ოლიმპიურია და ჩვენებიც დარჩენილი ორი სალიცენზიო ტურნირისთვის განსაკუთრებით ემზადებიან. ისიც ვთქვათ, რომ უკრაინელებმა მეზობელ ბელარუსს უარი უთხრეს და ქართველებთან ერთად მზადება არჩიეს. წვრონები ოლიმპიურ ცენტრ „ალუშტაში" გაიმართება. ნაკრების თავკაც თენგიზ მესხაძის თქმით, მზადება დეკემბერში ქუთაისში დაიწყო, სადაც მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშებით შემოიფარგლნენ, ამის მერე ბაკურიანს ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად მიაშურეს, ახლა კი უკრაინაში არიან და იქიდან თბილისში 22 იანვარს დაბრუნდებიან. უკვე 28-ში, მოკრივეებს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში საერთაშორისო ტურნირი ელით, უკრაინაში კი ეს სპორტსმენები წავიდნენ — ნიკოლოზ იზორია (54 კგ), კობა ფხაკაძე (57 კგ), კონსტანტინე კუპატაძე (60 კგ), ლევან ლვამიჩავა და კახა ჟვანია (69 კგ), გიორგი ნაკანი (75 კგ), დავით წიკლაური (81 კგ), ბექა ლობჟანიძე (+91 კგ)

სამი წონითი კატეგორია — 48, 51, 91 — ჯერჯერობით თავისუფალია იმის გამო, რომ გამორჩეული არავინ ჩანს და მხოლოდ ახალგაზრდები არიან. სალიცენზიო ტურნირები თებერვალში რომში და აპრილში ათენში გაიმართება.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, ის იანვარში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სამაისოდ გადაიტანეს. თუ ვინმე მანამდე ლიცენზიას გამოჰკრავს ხელს, აქაურ პირველობაზე მოემზადება. ამ ჩემპიონატში ახალგაზრდებსაც მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება. ნოემბერში კი ინგლისი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. და ერთიც, ოლიმპიადის მერე არსებულ წესს, ოთხ ორწუთიან რაუნდს, ადრინდელი წესი ჩაენაცვლება და სამი სამწუთიანი გახდება.

**ლექსო მაისურაძე**



### ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი
### 11-27 იანვარი. ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია

# ჰოლანდიაში დიდი სამეული შეიკრიბა



ვესელინ ტოპალოვი და ვიშვანათან ანანდი

**როგორც** ყოველთვის, საჭადრაკო სეზონი ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირით დაიწყო.

წლევანდელი გათამაშება შარშანდელს გაცილებით სჯობს. 14 მონაწილიდან 7 ფიდეს რეიტინგის პირველი ათეულიდანაა და მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდიცაა. ინდუსის გარდა სუპერტურნირზე ითამაშებენ: რუსი ვლადიმირ კრამნიკი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, უნგრელები — პეტერ ლეკო და იუდიტ პოლგარი, აზერბაიჯანელები — შაჰრიარ მამედიაროვი და თეიმურ რაჯაბოვი, სომეხი ლევონ არონიანი, უკრაინელები — ვასილ ივანჩუკი და პაველ ელიანოვი, ებრაელი ბორის გელფანდი, ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი, ინგლისელი მაიკლ ადამსი და ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი.

დიდი სამკუთხედი შეიკრა ტურნირზე: ანანდი, კრამნიკი და ტოპალოვი. ამ სამეულს მალე მსოფლიოს ჩემპიონატი აქვს სათამაშო და მანამდე ასეთ სუპერტუნირებზე მოსინჯავენ ძალებს.

ტურნირის ფავორიტი ანანდია. ინდოელი დიდოსტატი ვეიკ ან ზეეში მუდამ ძლიერად თამაშობს და ხუთჯერაც უმარჯვია. ბოლო თვეებში მან ცოტა ტურნირზე ითამაშა, რის გამოც ფიდეს რეიტინგში რამდენიმე საჭირო ქულა დაკარგა და პირველ ადგილზე კრამნიკი შეიამხანაგა. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს სექტემბერში კრამნიკთან მატჩრევანში ელის და მანამდე მის დამარცხებას აქ შეეცდება.

ფავორიტებშია თავად კრამნიკიც. რუსმა დიდოსტატმა შარშან ანანდთან მსოფლიოს ჩემპიონობა დაკარგა, სექტემბრამდე კი დიდი დროა და რევანშის აღებას ვეიკ ან ზეეში აპირებს. იგი ძლიერად თამაშობს თეთრებით, თუმც აქ ბედი დიდად არ სწყალობს და მხოლოდ ერთხელ უმარჯვია.

ბოლო ორ წელიწადში ტოპალოვმა სუპერტურნირი ორჯერ მოიგო და ახლაც იმედიანადაა. 2006 წელს კრამნიკთან მსოფლიოს ჩემპიონობა რომ დათმო, მას მერე მოისუსტა და ფიდეს რეიტინგში ლიდერობა დაკარგა. კრამნიკთან სატუალეტო სკანდალის შემდეგ ისინი კატა-თაგვივით არიან და მათი დაპირისპირება მუდამ საინტერესოა.

დანარჩენი მოჭადრაკეები, რა თქმა უნდა, ამ სამეულს ვერ შეედრებიან, თუმც ხელწამოსაკრავები სულაც არ არიან და სიურპრიზები მათგანაც იქნება.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ორი ლიდერი და ოთხი ქართველი

**ფიდეს** ახალ რეიტინგში დიდი ცვლილებები მოხდა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა საშემოდგომო ტურნირებზე ქულები დააგროვა და თითქმის უთამაშებელ ინდოელ ვიშვანათან ანანდს რეიტინგში გაუტოლდა. ახლა ფიდეს პირველ ადგილს ეს ორი დიდოსტატი იყოფს და საუკეთესო ალბათ ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირზე გაირკვევა. დიდი უკუნახტომი გააკეთა ვასილ ივანჩუკმა. ფიდეს ყოფილმა მეორე ნომერმა მსოფლიოს თასზე ბლომად ქულები დაკარგა და შვიდი ადგილით დაბლა ჩაცურდა.

კაცთა ასეულში კი უკვე ოთხი ქართველია. ლევან ფანცულაიამ შარშანდელი სეზონი ურიგოდ არ ჩაატარა, ფიდემაც დაუფასა და 2629 ქულით 94-ე ადგილი მიუჩინა. ჩვენებიდან ყველაზე საუკეთესო ბაადურ ჯობავაა, იგი 74-ეა. შემდეგ მოდიან 84-ე ზვიად იზორია და 89-ე მიხეილ მჭედლიშვილი.

ქალებში პირველი ისევ იუდიტ პოლგარია, თუმც მას ნელ-ნელა 19 წლის ჰუმპი კონერუ ეპარება. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე თანდათან თმობს პოზიციებს და მე-13 ადგილამდე ჩამოვიდა. ქართველებიდან შემდეგი ლელა ჯავახიშვილია, ვინც 23-ე ადგილზე იმყოფება. შემდეგ კი ქეთევან არახამია-გრანტი 30-ე, ნინო ხურციძე 37-ე და ნანა ძაგნიძე 42-ე მოდიან.

20-წლამდელ გოგონებში ნაზი პაიკიძე გამოჩნდა. 13 წლის ქართველი ჯერჯერობით მეცხრამეტეა და იმედია, უფრო წინაც წავა.

**ლაშა გეგეჭკორი**



ვლადიმირ კრამნიკი

კაცები:

| | |
|---|---|
| 1-2. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 2799 |
| 1-2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2799 |
| 3. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2780 |
| 4. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 2765 |
| 5. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 2763 |
| 6. შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 2760 |
| 7. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 2755 |
| 8. პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2753 |
| 9. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 2751 |
| 10. ლევონ არონიანი (სომხეთი) | 2739 |
| 11. ბორის გელფანდი (ისრაელი) | 2737 |
| 12. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 2735 |
| 13. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 2733 |
| 14. სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 2732 |
| 15. გატა კამსკი (აშშ) | 2726 |
| 16. მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2726 |
| 17. დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 2720 |
| 18. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 2719 |
| 19. ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) | 2713 |
| 20. ევგენი ალექსეევი (რუსეთი) | 2711 |
| ---------- | |
| 74. ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 2643 |
| 84. ზვიად იზორია (საქართველო) | 2637 |
| 89. მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 2635 |
| 94. ლევან ფანცულაია (საქართველო) | 2629 |

ქალები:

| | |
|---|---|
| 1. იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2707 |
| 2. ჰუმპი კონერუ (ინდოეთი) | 2612 |
| 3. ჟუნ ქსიე (ჩინეთი) | 2574 |
| 4. ჩენ ჟუ (ყატარი) | 2548 |
| 5. იფან ჰოუ (ჩინეთი) | 2527 |
| 6. პია კრამლინგი (შვედეთი) | 2524 |
| 7. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) | 2523 |
| 8. ქსუ ჟაო (ჩინეთი) | 2517 |
| 9. მარი სებაკი (საფრანგეთი) | 2510 |
| 10. იუჰუა ქსუ (ჩინეთი) | 2500 |
| 11. ლუფეი რუანი (ჩინეთი) | 2495 |
| 12. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) | 2495 |
| 13. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) | 2489 |
| 14. ანა უშენინა (უკრაინა) | 2484 |
| 15. ელინა დანიელიანი (სომხეთი) | 2480 |
| 16. მონიკა სოცკო (პოლონეთი) | 2479 |
| 17. ნატალია პოგონინა (რუსეთი) | 2476 |
| 18. თჰან თრან ჰოანი (უნგრეთი) | 2475 |
| 19. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) | 2475 |
| 20. კატერინა ლაჰნო (უკრაინა) | 2475 |
| ---------- | |
| 23. ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 2470 |
| 30. ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 2457 |
| 37. ნინო ხურციძე (საქართველო) | 2441 |
| 42. ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 2429 |

# 79-ე ოლე ნოინერი ქალების ბიორნდალენია

**ბიათლონის** ჩემპიონთა ჩემპიონს, ნორვეგიელ ოლე ეინარ ბიორნდალენს, შვიდი გამარჯვება აშორებს ლეგენდარული შვედი მთის მოთხილამურის, ინგემარ სტენმარკის საყოველთაო რეკორდამდე, რომელიც მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოგებულ 86 შეჯიბრს უდრის. დიადმა შვედმა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სწორედ ამდენჯერ იმარჯვა მსოფლიოს თასის ეტაპებზე და ბიორნდალენის ანგარიშზე კი, უკვე 79 ინდივიდუალური გამარჯვებაა.

დიახ, სწორედ ინდივიდუალური, თორემ მოგებულ ესტაფეტებსაც თუ მივათვლით, ოლეს მონაგარი 90-საც კი გადააჭარბებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ თავისი 79 გამარჯვებიდან, ბიორნდალენმა ერთი სულ სხვა სახეობაში, ბარის თხილამურობაში გამოჭედა და ბიატლონში კი მისი ბადალი რომ არავინ არის, ისედაც ცხადია.

2007-08 წლების სეზონში მსროლელმა მოთხილამურეებმა მსოფლიოს თასის, უკვე ოთხი ეტაპი გამართეს და ოლე შესაშური სტაბილურობით, თითოეულ ეტაპზე თითო რბოლას იგებს.

გამონაკლისი, არც ახალი წლის პირველი, გერმანულ ობერჰოფში გამართული ეტაპი იყო, რომელშიც ნორვეგიელმა, ჩვეული უხეირო სროლის გამო სპრინტში პირველი ადგილი პოლონელ ტომაშ სიკორას კი დაუთმო, მაგრამ მასობრივი სტარტით 15 კილომეტრზე რბოლაში შანსი არავის დაუტოვა და კარიერის 79-ე გამარჯვება მოიპოვა.

ისიც სათქმელია, რომ 33 წლის ოლემ ობერჰოფში მასსტარტის გარდა, ესტაფეტაშიც იმარჯვა და რა სალაპარაკოა, რომ ნორვეგიელთა გამარჯვებაში სწორედ მან დაიდო ლომის წილი. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ამ სეზონში, უკვე სამი ესტაფეტა გაიმართა, რომელთაგან ნორვეგიელებმა ორი მოიგეს და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ობერჰოფის ორივე ინდივიდუალურ რბოლაში ბიორნდალენს კვარცხლბეკზე გვერდს ემილ ჰეგლე სვენდსენიც უმშვენებდა, დავინახავთ, რომ ამ ეტაპზე ბიატლონისტ კაცთა შორის ვიკინგებს ბადალი არ ჰყავთ.

იგივე ითქმის გერმანელ ქალებზეც, რომელთაც ფანტასტიკური მაგდალენა ნოინერის სახით ახალი ლიდერი ჰყავთ. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამი ოქროს წამომღებმა მაგდამ მშობლიურ ობერჰოფშიც იხეირა — ბიორნდალენის არ იყოს, სპრინტში უხეირო სროლის გამო მხოლოდ მესამე ადგილი კი დაიკავა, მაგრამ მასსტარტში მას სროლაც წაუვიდა და ასეთ დროს მაგდას გამჩერებელი რომ არავინაა, მსროლელ მოთხილამურეთა მთელმა სამყარომ კარგად იცის.




## მსოფლიოს თასი. IV ეტაპი. 3-6 იანვარი. ობერჰოფი. გერმანია

### კაცები

**სპრინტი. 10 კმ ორი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) | 28 წთ 13,3 წმ (0 აცდენა) |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 28.29,5(3) |
| 3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 28.30,0 (2) |
| 4. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 28.36,4 (2) |
| 5. მატიას ნილსონი (შვედეთი) | 28.39,8(1) |

**მასსტარტი. 15 კმ ოთხი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 38 წთ 58,98 წმ (2 აცდენა) |
| 2. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | +34,1 წმ (1) |
| 3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | +54,1 (3) |
| 4. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | +1.17,8 (3) |
| 5. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | +1.27,1 (6) |

**ესტაფეტა. 4X7,5 კმ. (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია (სვენდსენი, ოსი, ჰანევოლდი, ბიორნდალენი) | 1 სთ 21 წთ 40,00 წმ (0 საჯარიმო წრე, 15 დამატებითი ვაზნა) |
| 2. რუსეთი (ჩერეზოვი, ჩუდოვი, იაროშენკო, კრუგლოვი) | +3,4 წმ (1 და 11) |
| 3. გერმანია (რიოში, ვოლფი, ბირნბახერი, გრაისი) | +48,6 (2 და 12) |
| 4. შვედეთი | +1.38,2 (1 და 11) |
| 5. საფრანგეთი | +1.51,4 (0 და 7) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 351 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 311 |
| 3. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 193 |
| 4. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) | 192 |
| 5. ვენსან დეფრანი (საფრანგეთი) | 185 |

### ქალები

**სპრინტი. 7,5 კმ ორი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. ტორა ბერგერი (ნორვეგია) | 23 წთ 59,2 წმ (0 აცდენა) |
| 2. სვეტლანა სლეპცოვა (რუსეთი) | 24.03,7 (2) |
| 3. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 24.08,9 (4) |
| 4. ვიტა სემერენკვო (უკრაინა) | 24.17,0 (0) |
| 5. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 24.21,3 (2) |

**მასსტარტი. 12,5 კმ ოთხი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 40 წთ 46,15 წმ (2 აცდენა) |
| 2. ოლგა ანისიმოვა (რუსეთი) | +59,2 წმ (2) |
| 3. ტატიანა მოისეევა (რუსეთი) | +1.03,7 (3) |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +1.05,1 (5) |
| 5. სიანინ ლიუ (ჩინეთი) | +1.06,8 (3) |

**ესტაფეტა. 4X6 კმ. (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. გერმანია (დენკინგერი, ჰენკელი, ჰიტცერი, ვილჰელმი) | 1 სთ 15 წთ 41,11 წმ (2 საჯარიმო წრე, 7 დამატებითი ვაზნა) |
| 2. საფრანგეთი (პერეტო, ბეკარი, მაკაბიე, ბაიი) | +12,2 წმ (0 და 7) |
| 3. რუსეთი (სლეპცოვა, ნეუპოკოევა, მოისეევა, გუსევა) | +26,0 (1 და 5) |
| 4. ნორვეგია | +1.28,4 (0 და 11) |
| 5. ბელარუსი | +2.02,1 (0 და 9) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 303 ქულა |
| 2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 289 |
| 3. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 277 |
| 4. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 263 |
| 5. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 245 |



## მსოფლიოს თასი. კაცები

**სწრაფდაშვება. ბორმიო. იტალია**

| | |
|---|---|
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 2 წთ 00,57 წმ |
| 2. ანდრეას ბიუდერი (ავსტრია) | 2.01,02 |
| 3. იან ჰადეცი (კანადა) | 2.01,11 |
| 4. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 2.01,23 |
| 5. ანდრეი იერმანი (სლოვენია) | 2.01,28 |

**გიგანტური სლალომი. ადელბოდენი. შვეიცარია**

| | |
|---|---|
| 1. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 2 წთ 27,56 წმ (1.14,05+1.13,51) |
| 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 2.28,12(1.(13,93+1.14,16) |
| 3. ჰენე რაიხელტი (ავსტრია) | 2.28,14 (1.14,53+1.13,61) |
| 4. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) | 2.28,25(1.14,68+1.13,57) |
| 5. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 2.28,26(1.14,35+1.13,91) |

**სლალომი. ადელბოდენი. შვეიცარია**

| | |
|---|---|
| 1. მარიო მატი (ავსტრია) | 1 წთ 48,45 წმ (55,21+53,24) |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.48,55 (55,70+52,85) |
| 3. ფელიქს ნოიროიტერი (გერმანია) | 1.48,59(55,91+52,68) |
| 4-5. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 1.49,14(55,63+53,51) |
| 4-5. რაინერ შონფელდერი (ავსტრია) | 1.49,14(55,62+53,52) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 640 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 525 |
| 3. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 446 |
| 4. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 408 |
| 5. ბოდე მილერი (აშშ) | 406 |

## მსოფლიოს თასი. ქალები

**გიგანტური სლალომი. ლინცი. ავსტრია**

| | |
|---|---|
| 1. დენიზ კარბონი (იტალია) | 2 წთ 02,73 წმ (1.00,88+1.01,85) |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 2.04,01(1.01,50+1.02,51) |
| 3. მიკოლ გიუსი (იტალია) | 2.04,35(1.01,31+1.03,04) |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 2.04,46(1.01,97+1.02,49) |
| 5. კატრინ ჰოლცლი (გერმანია) | 2.04,82(1.01,24+1.03,58) |

**სლალომი. ლინცი. ავსტრია**

| | |
|---|---|
| 1. კიარა კოსტაცა (იტალია) | 1 წთ 54,97 წმ (57,96+57,01) |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1.55,65 (58,37+57,28) |
| 3. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.55,83(58,46+57,37) |
| 4. მარია რიოში (გერმანია) | 1.56,18(59,11+57,07) |
| 5. ანა იელუსიჩი (ხორვატია) | 1.56,34(58,71+57,63) |

**გიგანტური სლალომი. სპინდლერუვ მლინი. ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| 1. დენიზ კარბონი (იტალია) | 2 წთ 16,98 წმ (1.10,28+1.06,70) |
| 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.17,37(1.10,38+1.06,99) |
| 3. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 2.17,57(1.10,58+1.06,99) |
| 4. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 2.17,80(1.11,07+1.06,73) |
| 5. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 2.17,90(1.11,66+1.06,24) |

**სლალომი. სპინდლერუვ მლინი. ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1 წთ 46,35 წმ (53,33+53,02) |
| 2. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.46,67(53,58+53,09) |
| 3. მარია რიოში (გერმანია) | 1.47,53(53,30+54,23) |
| 4. ტერეზა ბერსონი (შვედეთი) | 1.47,84(53,75+54,09) |
| 5. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) | 1.48,17(54,32+53,85) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 559 ქულა |
| 2. მარია რიოში (გერმანია) | 525 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 505 |
| 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 504 |
| 5. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 490 |



## მსოფლიოს თასი. ობერჰოფი. გერმანია

**პირადი. 2 ნახტომი HS 140 ტრამპლინიდან + 15 კმ გამოდევნებით**

| | |
|---|---|
| 1. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 40 წთ 08,8 წმ (მე-14 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ბილ დემონგი (აშშ) | +0,1 წმ (15) |
| 3. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | +9,1(13) |
| 4. რონი აკერმანი (გერმანია) | +11,8(2) |
| 5. დავიდ კრაინერი (ავსტრია) | +30,2(4) |

## მსოფლიოს თასი. შონახი. გერმანია

**პირადი. 1 ნახტომი HS 96 ტრამპლინიდან + 7,5 კმ გამოდევნებით**

| | |
|---|---|
| 1. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 17 წთ 29,6 წმ (მე-3 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ბილ დემონგი (აშშ) | +0,2 წმ(12) |
| 3. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | +0,7(10) |
| 4. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | +4,7(2) |
| 5. რონი აკერმანი (გერმანია) | +7,1(5) |

## მსოფლიოს თასი. შონახი. გერმანია

**პირადი. 2 ნახტომი HS 96 ტრამპლინიდან + 15 კმ გამოდევნებით**

| | |
|---|---|
| 1. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 39 წთ 19,7 წმ (მე-2 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | +11,7 წმ (7) |
| 3. რონი აკერმანი (გერმანია) | +19,7 (6) |
| 4. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | +50,7 (17) |
| 5. ბილ დემონგი (აშშ) | +50,8(10) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 526 ქულა |
| 2. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 514 |
| 3. ბილ დემონგი (აშშ) | 477 |
| 4. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 409 |
| 5. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 379 |

# რეგულარული ჩემპიონატი

8 იანვარი

**ტამპა 5:3 რეინჯერსი**
*2:1 2:1 1:1*
0:1 იაგრი (4), 1:1 ჯანიკი (6), 2:1 გრეტონი (9), 3:1 გრეტონი (25), 4:1 პროსპალი (31), 4:2 გომესი (39), 4:3 როზივალი (45), 5:3 სენ ლუი (60)

**კაროლინა 1:0 ბოსტონი**
*0:0 1:0 0:0*
1:0 სტაალი (39)

**ფილადელფია 4:1 ატლანტა**
*0:1 4:0 0:0*
0:1 კოვალჩუკი (10), 1:1 დაუნი (21), 2:1 კარტერი (34), 3:1 კარტერი (34), 4:1 პარტნელი (40)

**ჩიკაგო 3:4 მონრეალი**
*1:2 2:1 0:0 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 კოივუ (5), 1:1 სკილი (6), 1:2 ბრიზბუა (18), 2:2 ლანგი (23), 3:2 ვერსტიგი (23), 3:3 მარკოვი (29), 3:4 ლატანდრესი (64)

**კოლუმბუსი 1:6 სენტ ლუისი**
*0:1 0:1 1:4*
0:1 ბეკსი (9), 0:2 მაკდონალდი (32), 0:3 მაკდონალდი (42), 1:3 ნეში (45), 1:4 ტკაჩუკი (51), 1:5პერონი (53), 1:6 პაინოუტი (59)

**პიტსბურგი 3:1 ფლორიდა**
*0:0 3:0 0:1*
1:0 სიკორა (31), 2:0 კროსბი (32), 3:0 ლარაკი (34), 3:1 კემპბელი (56)

**კოლორადო 0:1 დეტროიტი**
*0:0 0:1 0:0*
0:1 დაციუკი (39)

**ფინიქსი 3:1 კალგარი**
*0:0 3:0 0:1*
1:0 ვინიკი (24), 2:0 პერო (27), 3:0 იანდლი (30), 3:1 ტანგეი (57)

**აილენდერსი 2:3 ვანკუვერი**
*0:1 1:0 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 ნესლუნდი (10), 1:1 გერინი (27), 2:1 კომო (43), 2:2 დ. სედინი (45)

**ბუფალო 1:2 ნიუ ჯერსი**
*0:1 0:0 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 გრინი (17), 1:1 პომინვილი (59)

**ნეშვილი 7:0 ლოს ანჯელესი**
*3:0 2:0 2:0*
1:0 პორდიჩუკი (6), 2:0 არნოტი (7), 3:0 ლეგვანდი (7), 4:0 ნიკოლი (24), 5:0 ერატი (30), 6:0 დიუმონი (52), 7:0 ორტმაიერი (55)

ბომბარდირები: ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 63(28-35); ჯერომ იგინლა (კალგარი) 60 (32-28); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 60(35-25); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 59(18-41); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 55(25-30); დენი ჰიტლი (ოტავა) 55(25-30); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 54(26-28); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 53(17-36); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 52(15-37); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 52(32-20); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 51(17-34); მატს სუნდინი (ტორონტო) 48(20-28); კრისტიან ჰუსელიუსი (კალგარი) 47(20-27); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 47(19-28)

გოლეადორები: კოვალჩუკი 35; ოვეჩკინი, იგინლა 32-32; ლეკავალიე 28; ზეტერბერგი 26; ალფრედსონი, ჰიტლი 25-25; ერიკ სტაალი (კაროლინა) 23; კორი პერი (ანაჰაიმი), რიკ ნეში (კოლუმბუსი) 22-22; მარიან გაბორიკი (მინესოტა), მაიკ რიბეირო (დალასი), პატრიკ შარპი (ჩიკაგო), ბრედ ბოიესი (სენტ ლუისი) 21-21; დასტინ ბრაუნი (ლოს ანჯელესი), ჰიუსელიუსი, დანიელ სედინი (ვანკუვერი), სუნდინი, რეი უიტნი (კაროლინა), ოლი იოკინენი (ფლორიდა) 20-20

ასისტენტები: კროსბი 41; სპეცა 37; დაციუკი, ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 36-36; ლეკავალიე, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 35-35; სენ ლუი, მარკ სავარი (ბოსტონი) 34-34; ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 33; ჰიტლი, სერგეი ზუბოვი (დალასი), ალფრედსონი, პატრიკ კინი (ჩიკაგო), სკოტ გომესი (რეინჯერსი) 30-30

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტრომი 34; ჰიტლი 32; დაციუკი 25; სპეცა 22; იგინლა 19; ჯო კორვო (ოტავა) 18; ვალტერ ფინპულა (დეტროიტი), დუგლას მიურეი (სან ხოსე), რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი), ალექსანდრ ედლერი (ვანკუვერი) 17-17; ზეტერბერგი, ალფრედსონი, უეიდ რედენი (ოტავა), დანიელ კლირი (დეტროიტი), ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი) 16-16

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: კრის ოსგუდი (დეტროიტი) 1,68; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 1,96; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 1,97; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,01; მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 2,06; დომენიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,11; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,14; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 2,23; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 2,25

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: ოსგუდი 93,2; ტომასი 93,2; ლუონგო 93,0; ლეკლერი 92,8; ბრიზგალოვი 92,5; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,5; ლაგესი 92,2; ბროდო 91,9; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 91,9

მოგებული მატჩები: ნაბოკოვი 23; მიკა კიპრუსოფი (კალგარი), ბროდო 22-22; ლუონგო 20; ოსგუდი, მარტინ გერბერი (ოტავა) 19-19; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი), ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა) 18-18; რაიან მილერი (ბუფალო), ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი), კემ უარდი (კაროლინა) 17-17

შატაუტები: ლეკლერი 7; ლუნდკვისტი, ლუონგო 6-6; ნაბოკოვი 5; ბროდო 4; უარდი, მეტიუ გერონი (ედმონტონი), დენ ელისი (ნეშვილი), ლეგასი, ჰაშეკი, ვოკოუნი 3-3

# უბერებელი ჩელიოსი



**„დეტროიტის“** უბერებელი მცველი კრის ჩელიოსი გუშინ ოფიციალურად შეიქნა ასაკით მეორე უხუცესი ჰოკეისტი, რომელმაც ნჰლ-ის მატჩში მიიღო მონაწილეობა. ბერძნული წარმოშობის ამერიკელი ზუსტად 45 წლისა და 348 დღისა იყო, „კოლორადოსთან“ შეხვედრაში ყინულზე რომ გავიდა. ამით კრისმა „ჩიკაგოს“ ლეგენდამო რობერტსს გადაასწრო — ამ კაცმა კი კარიერა 1951 წელს 45 წლისა და 347 დღის ასაკში დაასრულა.

თუმც ჩელიოსი ჰოკეიდან წასვლაზე სულაც არ ფიქრობს და მიმდინარე სეზონის გარდა, როგორც მინიმუმ, კიდევ ერთი სეზონი აპირებს ნჰლ-ში დარჩენას. ამის მიუხედავად საეჭვოა, კრისი „დეტროიტის“ კიდევ ერთ ლეგენდა გორდი ჰოუს დაეწიოს, რომელმაც კარიერა 52 წლის ასაკში დაასრულა. ამერიკელი უკანახაზელი ახლა მშვენიერ ფორმაში კი არის, მაგრამ „მისტერ ჰოკეის“ შედეგს ნამდვილად ვერ გაუტოლდება.

პირთამდე გადავსებულმა „ჯო ლუის არენამ“ კი გუშინ მხურვალე ოვაცია მოუწყო ჩელიოსს. როდესაც დიქტორმა მისი მიღწევის შესახებ გამოაცხადა, კრისი ხუმრობის ხასიათზე დადგა, წელში მოიხარა და სათადარიგოთა სკამზე თითქოს ძლივს მილასლასდა. თუმც ცოტა ხანში ჩელიოსმა დაამტკიცა, რომ კვალავაც ნამდვილი მეომარია და არაფერს უფრთხის — როცა „კოლორადოელმა“ კოდი მაკორმიკმა დეტროიტელთა კაპიტან ნიკლას ლიდსტრომის წინააღმდეგ იუხეშა, კრისი თავისზე 20 წლით უმცროს მეტოქეს მივარდა და გვარიანადაც გალახა.

როგორც ხედავთ, ჩელიოსს ასაკი საერთოდ არ ეტყობა. „დეტროიტშიც“ მის წლებს ყურადღებას არავინ აქცევს, რადგანაც კოლოსალური გამოცდილების მქონე უკანახაზელი გუნდის დაცვის ერთ-ერთი ბურჯია.

**ქახა ლომაშვილი**

# საატლანტო ვარსკვლავები

**გუშინ** ოფიციალურად დაასახელეს ის შემადგენლობები, რომლებიც 27 იანვარს ატლანტაში გასამართ ყველა ვარსკვლავის მატჩს გახსნიან. მოგეხსენებათ, საწყის ხუთეულებს გულშემატკივრები ირჩევენ, დანარჩენ შემადგენლობას კი ნჰლ-ის 30 გუნდის მწვრთნელი ასახელებს.

ჰოდა, გუშინ გულშემატკივართა რჩეულები დაასახელეს. ზედიზედ მეორე წელია, ყველაზე მეტ ხმას „პიტსბურგის“ ვუნდერკინდი სიდნი კროსბი აგროვებს, რომელმაც მეორეზე გასულ „დეტროიტის“ კაპიტან ნიკლას ლიდსტრომს (თავის მეათე ოლ სტარზე ითამაშებს) მთელი 29 000 ხმით აჯობა.

რახან „დეტროიტზე“ ჩამოვარდა სიტყვა, აქვე გეტყვით, რომ „წითელფრთიანები“ ატლანტაში სოლიდურად იქნებიან წარმოდგენილნი. ლიდსტრომის გარდა, დასავლეთის საწყის ხუთეულში ასევე მოიპოვეს ადგილები ჰენრიკ ზეტერბერგმა და პაველ დაციუკმა, რომლებმაც თავიანთ კონფერენციაში თავდასხმელებს შორის ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს.

დასავლეთის რჩეულთა შორის არიან აგრეთვე „კალგარის“ კაპიტანი ჯერომ იგინლა, ამავე გუნდის ახალგაზრდა უკანახაზელი დიონ პანიოფი და „ვანკუვერის“ კარის დარაჯი რობერტო ლუონგო.

აღმოსავლეთში კი კროსბის შეტევაში პარტნიორობას ლიგის ბომბარდირთა დავის ლიდერი ვენსან ლეკავალიე და „ოტავას“ კაპიტანი დანიელ ალფრედსონი გაუწევენ. საინტერესოა, მაგრამ საწყის ხუთეულში ადგილი ვერ გამოიძებნა შარშანდელი გამოკითხვის ერთ-ერთ ფავორიტ ალექსანდერ ოვეჩკინსა და წლევანდელი სნაიპერთა დავის ლიდერ ილია კოვალჩუკისთვის.

აღმოსავლეთის დაცვა „ბოსტონის“ ლიდერმა ზდენო ჩარამ და „მონრეალელმა“ ანდრეი მარკოვმა დააკომპლექტეს. კარს კი „ნიუ ჯერსის“ სუპერმეკარე მარტინ ბროდო დაიცავს, რომელიც, ლიდსტრომისა არ იყოს, თავის მეათე ოლ სტარზე ითამაშებს.

გუნდებს ჩემპიონატის ლიდერების — „დეტროიტისა“ და „ოტავას“ მწვრთნელები, შესაბამისად მაიკ ბებკოკი და ჯონ პედოკი უთავკაცებენ.

**ქახა ლომაშვილი**

ავტორბოლა

# განწყვეტილი რეიდი
## დაკარი მავრიტანიის სისხლიან ქვიშაში ჩაიკარგა

**ლეგენდარული** რალი-რეიდი „დაკარი-2008“, რომელიც ადრე „პარიზი-დაკარის“ სახელით იყო ცნობილი და სათავეს 1979 წლიდან იღებს, ამ ოცდაათი წლის მანძილზე პირველად არ ჩატარდა.

რბოლა ნაახალწლევს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში უნდა დაწყებულიყო და შემდეგ აფრიკაში, საჰარის უდაბნოს ქვიშიანი გზების გავლით სენეგალში, ვარდისფერი ტბის პირას უნდა დასრულებულიყო, მაგრამ...

მავრიტანიაში, სადაც რალი-რეიდის რვა ეტაპი იყო დაგეგმილი, გასული წლის მიწურულს, კერძოდ კი 24 დეკემბერს ოთხი ფრანგი ტურისტი მოკლეს, რომლებიც შობის შესახვედრად, სწორედ ამ, მათი ჭკუით ეგზოტიკურ ქვეყანაში იყვნენ ჩასულნი. როგორც მავრიტანიის ხელისუფლებამ დაადგინეს, მკვლელობა „ალ-ქაიდას“ ჩრდილოაფრიკული დაჯგუფების წევრებმა ჩაიდინეს და იმის გარანტია, რომ „დაკარის“ მსვლელობისას მსგავსი ტერორისტული აქტი აღარ განმეორდებოდა, ზემოთხსენებულმა ხელისუფლებმა რალი-რეიდის ორგანიზატორებს ვერ მისცეს.

შედეგად, უპოპულარულესი შეჯიბრი, რომელიც, აგერ უკვე სამი ათეული წელია საახალწლო დღეებთან ასოცირდება, არ შედგა. რალი-რეიდის ორგანიზატორმა, ფრანგულმა კომპანია A.S.O-მ, ერთშაბად 52-მილიონდოლარიანი ზარალი განიცადა, მაგრამ ამაზე გაცილებით მეტად დაზარალდნენ ის აფრიკული ქვეყნები, რომელთა ტერიტორიაზედაც რალი-რეიდს უნდა გაევლო და რომელთა ბიუჯეტის გვარიანი ნაწილიც, სწორედ იანვრის თვეში გასამართი ამ შეჯიბრით საზრდოობს ხოლმე.

გვარიანად დაზარალდნენ ის გუნდებიც რომელთაც „დაკარში“ უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მაგალითად, რუსულმა „კამაზმა“, რომელიც




სატვირთო ავტომობილების კლასში მუდმივად „დაკარის“ ფავორიტთა შორის არის ხოლმე, ერთი მილიონი დოლარი დაკარგა. სულ შეჯიბრში, 204 ავტომობილს, 98 სატვირთო ავტომობილსა და 248 მოტოციკლს უნდა მიეღო მონაწილეობა და ყველა ამ ეკიპაჟს ტექნიკური შემოწმება უკვე გავლილი ჰქონდა, რაც, ბუნებრივია და დამატებით ხარჯებს წარმოადგენს.

მოკლედ, ასე მოხდა — „ალ-ქაიდა“ ლეგენდარულ რბოლასაც გადაწვდა და რალი-რეიდის ისტორია გაწყვიტა. ერთი კია, „დაკარის“ ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ამ უსიამოვნო ფაქტით შეჯიბრის ისტორია არ დასრულდება და გაისად ავტო-მოტოები კვლავ დაადგებიან საჰარის ქვიშიან გზებს.

**ქახა ლომაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge